

9 772298 1095006

საზოგადოებრივ-ცოცხალ-კულტურული ჟურნალი



პ

რილი

ფასი 2 ლარი


1134
2014

მანანა კობახიძე
ანდრო ბუაჩიძე
ნიკა ჯორჯაძე
გივი უსუფიშვილი
ბაღა ჩაკვირიანი

ნუგზარ
ვაჟა-ფშაველას
ბოლშევიკი
პრომეთე

პ. ჰილინის მიხედვით
დრო
ლიტერატურაში

ვაჟა-ფშაველას
ირაკლი ფარჯანი
და შეხვედრის
მეტაფიზიკა



2014/მარტი

1 (221)

ბასიკ ხარაძის
თარგმანი ანდრო ბუაჩიძისა და
მანანა კობახიძის მიერ

ახალი წიგნი	1	ბესიკ ხარანაული თარგმანი ამერიკულიდან
პოეზია	21	მანანა კობაიძე
	24	ანდრო ბუაჩიძე
	26	ნიკა ჯორჯანელი
	30	გივი ალხაზიშვილი
	36	ბელა ჩეკურიშვილი
ესე	39	ნუგზარ ზაზანაშვილი ბოლშევიკი პრომეთე
	49	ჯ. შილის მილერი დრო ლიტერატურაში
ხელოვნება	58	ზაზა ფირალიშვილი ფიქრის თავგადასავალი ირაკლი ფარჯიანი და შეხვედრის მეტაფიზიკა
რეცენზია	66	ჯაბა ზარქუა გიორგი მაისურაძე
	67	ლაშა მილორავა მალხაზ ხარბელია
	69	ზურაბ კალანდაძე თამაზ ბაძალუა
	71	ანდრო ბუაჩიძე ლერი ალიმონაკი

გარეკანი: მამუკა ტყეშელაშვილი

არილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია
"არილის" ყოველთვიური გამოცემა

The Literary Magazine "Arili"

რედაქტორები

მალხაზ ხარბელია
შადიმან შამანაძე

მხატვარი მამუკა ტყეშელაშვილი

კორექტორი ინა არჩუაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა თამაზ ჩხაიძე

პროექტის მენეჯერი ეკა ხარბელია

სარედაქციო საბჭო

რატი ამბლობელი, ია ანთაძე, ანდრო ბუაჩიძე, ლაშა ბულაძე, თამაზ ვასაძე, გიორგი კეკელიძე, ზურაბ კიკნაძე, თამარ ლებანიძე, ვასილ მაღლაფერიძე, ზვიად რატინი, ირაკლი სამსონაძე, გულსუნდა სიხარულიძე, ბაკურ სულაკაური, ირმა ტაველიძე, ქეთი ქანთარია, პაატა შამუგია, ზაზა ჭილაძე.

არილი - დასასვენებელი სინამდვილა

სულხან-საბა

არილი - მზის შუქი, რამეზე დამდბარი

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

არილი - თანამედროვე ქართული ლიტერატურის მარილი

ხალხური

ელექტრონული ფოსტა: info@arilimag.ge
ვებგვერდი: arilimag.ge

გამოდის 1993 წლიდან

© უფრნაღში გამოქვეყნებული მასალების გამოყენება
"არილის" რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია


უფრნაღლი გამოდის საქართველოს
კულტურისა და ძეგლთა დაცვის
სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით



ბესიკ ხარანაული

თარგმანი ამერიკულიდან

მეტაპოეტური ნაწერი



მადლობა, ღმერთო,
რომ მიწაზე მომეცი მიწა,
რომ დავდივარ და რომ ვკითხულობ:
- რომელ-ა მიწა?

ჭალის საკრავი

მძლევაირი - თბილ ქვეყნებში გადამფრენ ფრინველს ნიშნავს - საბასთანაც და ქველ-შიც. მაგრამ არაფერს ხმარობს. „ფრი-ფრის“ ამჯობინებებ. ეტყობა არის რაღაც „მძლევაირში“, რაც ხალხის ძალებს აღემატება. ადამიანი, საერთოდაც, ცუდს ადვილად აიალოვებს და კარგს ადვილად შეეღვევა. ხოლმე. ჩვენი, ბოლო ოცი წლის მანძილზე, ბევრზე-ბევრი ორფეხზე მოარული მოგვევლინა გადამფრენი ფრინველის როლში. გადამფრინდებიან „თბილ“ ქვეყნებში და გადმოფრინდებიან... შედეგად გამოსდით „ფრი-ფრი.“

სადაც თბილა, იგულისხმება, რომ იქ ყველაფერი არსებობისთვის. ამიტომაცაა, რომ ჩვენ, შინდარჩენილები, მხოლოდ ნატვრით ვახსენებთ მათ სახელებს.

ამ ლოიალობამ ის სამსახური გაუწია დაცარიელებულ ქვეყანას, რომ გაჩნდნენ „გადამფრენი მწერლები“, რომლებსაც ევინოვებათ აქ და კალამი ფურცლიანად მიფრინავენ სხვაგან, მშობლიური

სივრცის მიღმა.

ჩვენ მათ სახელებსაც მხოლოდ ნატვრით ვახსენებთ.

ამბობენ, სადაც დაფრინდებიან, იქაურ ენაზეც წერენო, რისი მკაფიო მაგალითიც ქვემოთ ნიგნია, რომელიც ამერიკულზე ყოფილა დაწერილი - კერის ენაშერეულად, და მე გადმომეცა ვაშინგტონის „ფორდის“

გაყიდვების მენეჯერისგან, რომელიც აქაურია, ჩვენი სისხლის და ხორცის და უყვარს თავისი პირველადი მიწა.

- არაა საკვირველ!

ნიგნი „დაკარგული“ არ არის, არც სხვენზე ან სადმეა ნაპოვნი. ნიგნის პირველადი ავტორი სესხს ისტუმრებს ციხეში. მანამდე კი, ინტუიციით უგრძენია, რომ ჩასვამდნენ და თანამემამულისთვის, ანუ „ფორდის“ გაყიდვების მენეჯერისთვის, უთხოვია „ნაწერისთვის“ მიეხედა. იმან მე გადმომცა - რაკი მიცნობდა, მე კი თქვენი გაძლევეთ, რაკი გიცნობთ.

ხოა ჭახრაკი!

ეტყობა ის კაცი, ჯიბეს რომ მოიკრებდა, თავის პირველად მიწას ჩამოაკითხავდა ხოლმე, უამი-უამი...

- არაა საკვირველ!

იცით, რომ ჩვენ პლანეტა X-ის საიქიო ვართ?

- ტკაც/! - გაისმა და ამეწევა სახე.

ისეთი სილა მომხვდა, თითქოს ვიღაცამ ამაყბავა შორეულ დროიდან. მაგრამ, არა! მე ვიყავ თვითონ, უსწრაფესი რეაქციის პატრონი რომ ვარ, მე დავიხსაჯე თავი ამ მკრეხელობის ნაკითხვისათვის, რადგან: ძალის მოკუქულს რომ ნააწყდები, ვისი ბრალია? - შენი თვალბის! მალა გეყურებინა, ხის ნეერებისთვის, ან სამუალოსკენ, - აგე, ქალი მიდის, ატრიბუტრიკით, სწრაფი მდინარესავით; ან ახლოს, აგე, ისევე ქალი, მაგრამ ნაცნობი ძველი კუნძივით, ალკოპოლიკი, სინამდვილისგან გასახლებულ, ბუნებისგან ბოძებულს იუბედურებს ნერვებით ბოძებულთი, გოლის შენს ნიქ დუდუნით, ჩვილივით მიუხედავად, ფულზე ლუდის ორლიტრნახევრიანი ბოთლი და ეკუქუნება, და, შენ, მხდალი, ისრებ სწრაფად თვალს არიდებ. ბუნებას არიდებ თვალს იმ ლოთი ქალივით, ბუნება რომ მაინც ჩრის ხელში - ჩვილს, ჭრელებში გამოხვეული ლუდის ორკილონახევრიანი ბოთლით.

აქ, წესით ერთი სილის ტკაცანი უნდა გაისმას კიდე:

«ყველა უბედურებას, თქვენს გარეთ როა, თვალს რომ არიდებთ გამხმარ კურკლივით, ხომ ფლავთ ფეხს მაინც ახალ ნაქნარში!»

კიდე კარგი, ქვა არ მეჭირა ხელში, ან სხვა ბლავკი სავანი: გავშალე მარცხენა ხელის მუჭი და სობრე ამომივიდა, გავშალე მარჯვენა, და, - სიღარობე.

პირითლა შევუთვალე:

«პირველივე სტრიქონში სისულელეს რომ ნამოაფრე, მერე რისი იმედი გაქვს, რომ წერ, ვინცა წერ!»

იცით, რომ ჩვენ პლანეტა X-ის საიქიო ვართ?!

- გვალე!.. - ნამკრა წმინდა გიორგიმ მათარახის წვერი.

- გვალე, ვიღინოთ!

ასეთი ხმაური დააყენოს ამ ქალაზე, ვინაც ბიჭია!

კიდე კარგი, აქ არ მედგა სანერი მაგიდა!

ზედ ჩემი წარღვნამდელო, მოზერის ფაჩრისფერი ლეპტოპით.

ჩვეულებრივ, ამ ქალაში ვიქმ ჩემს წერით საქმეს, კვაკასიონის თებობს ძირში, ქვემოთ გაჩქარებულ მდინარის ხელმარჯვნივ, რომ იმის ტალღებისგან აიალოფონ სიცრუე ჩემმა სტრიქონებმა და გააყოლონ ნიავს ბარისკენ, სადაც კარგ ფასად გაიყოფება.

- სტეფანე გახსოვთ? ჩემი მეგობარი, რომელზეც ვწერდი იმ ჩემს წარღვნამდელ ნაწერში... გარდაიცვალა.

აქ, პარკში ეყენა ბავშვებდახვეული საქანაო ნავეები, ეხლა რომ საბოლოოდ ღუზა ჩაუშვიათ. გაუქ-

რათ აბრა: «იყიდება ან ქირავდება», მაგრამ ძველ-მოდურება ის ნავეები, ბავშვების ფეხით ძირგახვრეტელები... სტეფანესთვის და იმის ჯოხისთვის მანქანას დაურტყამს.

ორს, ერთად, მაგონი, თორემ, ერეთს სტეფანეს ჯოხიც გაუმკლავებოდა.

ეჰ, ვისხედით ხოლმე მე და სტეფანე სანაოსნოს კიდებში, ჩრდილის მიხედვით და, ვწრუპავდიო.

სულ ახლახან აქ! იყო და ახლა «იქ» არის. რას ნიშნავს ეს კიდები? სად უფრო კარგი ჩრდილები იცის? რას ნიშნავს სიკვდილი? ერთი ჩვენებური დედაკაცი, რომ მოკვდა და ისევე რომ გაცოცხლდა, - ხშირია აქ ორჯერ სიკვდილი, - ყვეგბოდა ცნობის-მოყვარეთათვის: «მე რა გამამბარუნეს, გზაჩი ორთ შავთ კაცთ ერთ კაც მახყვანდა. იმ კაცის თორ-პილ არ მანახვიეს (სახე არ მაჩვენეს). ის კაც იზიღდებოდა, ხელიჩით გასაგლეჯად მწზადებოდა. კარებს რო გამამაცილეს, ორივე კაც გაქრ. მემრ მეც გამამელიდი.

მე რო გონს მავედ, ჩემ მამა მამკვდარიყვე. ის ყოფილა, ჩემი მამის სულს იყვენეს, გზაჩი რო მამყარეს. თორ-პილ იმით არ მანახვიეს, რო ტირილს დაინყებსავ, აქაურობას აახმარებსავ. საიქიოს ძალიან მწმად არიან. თავის ფხაჭუნიც აშინებს სადაა.»

ხომ არის ეს კადრი ვიდეო მონტაჟის წინაპარი მაგალითი!

იცით, რომ ჩვენ პლანეტა X-ის საიქიო ვართ?!

ყველა მწერალსა აქვს ბუნებით ბოძებული დამტვევის ლიმიტი. მაგრამ ასე, სათაურშივე რომ დახარჯო თელი მარაგი, მერე რა უნდა ქნა!

დალოკვილო, მთელი კაცობრიობის ხალხები, ერთმანეთზე გადახვეული საუკუნეებში, გამოჩენილი მწერლებისგან სობრძენს ელის და გამოსახვის მუხლისწოქვით და ხანთლების ნთებით, და არა სიგვის... ესენიც იყურებინათ თავის სობრძენში, როგორც დავთარში და ვერაფერი ვერ გამოაქვთ. არც ჩემი ეყურებათ თავიანთ უჩინში, რომ ვეძახი მზით გაფიცებულ «საძახებლას» მთისწვერის კირჩხლებიდან:

- ეეე!.. ყური მოუძაბრეთ ცასა!

მეცნიერული საიქიო არ არსებობს, ჰომეროსისა, თქვენც იცით.

ხალხური? ჩვენი საიქიო, მაგალითად, სააქაოს ზუსტი ასლია, იმიტომ, რომ დიდი კრძალვა და რიდა მიცვალებულის სულისა, ცოცხალი ფანტაზია გაკიცხულია. ამისგან, ჯოჯოხეთი ხომ მოსაწყენია, სამთხე - უარესი, გამოქცევა მოგინდება.

მაგრამ - სიკვდილი? სად გადაფრინდები?

რაკი მეცნიერება მცდარი გზით ვერ ნავა, იაროს ამ გზით კაცის მცდარმა ინტუიციამ და ქალაში ედგას პიანინო.

უტყაპუნოს ხელები, ფეხები დაზოგოს. გაიგებებ ბარში, ტანს აყაოლებენ.

კარგია ადამიანი, მარტო იმის ანატომიაც კი

გაგიტაცებს. ხოლო ცარიელი ჩონჩხი იმისი? ძველი აკლდამის კედელზე მიყუდებული, აქეთ-იქიდან ორი ტყავებადაკრული ორფეხა რომ უდგას და ფოტო რომ გადაუღიათ ახალფოტო-გრაფოსობაში... ჟამიანობა რომ ყოფილა იმ კლდიან მხარეში, ჟამთ ანგელოზებს ისრები რომ დაუსყრიათ, შავი, ლურჯი, წითელი... და, რომ მთლიანად განყვეტილა ხალხი. მარტო ერთ შესვლაზე სამოცი ხმლიანი შესულა აკლდამაში, რომ იქ დახოცილიყვნენ წინაპართა ძელებში.

მხოლოდ ვინმე ანთა გადარჩენილა, მეხუმარე. საარაკოდ მოქცეულა ხალხის წარმოდგენისთვის: გაუხვდა ტანისამოსი, დაუსყრია და გაქცეულა გოგრის თესლისფრად სრულიად ტიტველი.

ხოლო სად აღმოცენდა, არავინ იცის. იტყვიან მხოლოდ:

„ანთა გამორბის ველთაო, შიშველს მაიქნევს ყვერთაო!“ -

დაუფიქრია სურათია, სულ მინდა ვუყურო. მაგრამ, ვაჰ, თუ გამოიღო იმ შუშინებულმა ყვერებმა ნაყოფი, შვიდ თაობის მერე!

- უყუო, უყუო, უყუო! - გატეხა ვირმა ჭალაში დუმილი. დილის ექვსის ნახევარია, ყოველ ნახევარ საათში იცის ხოლმე, როგორც მეც ბუჭტად ქალი მინდება.

- უყუო, უყუო, უყუო!
- შენს პატრონს უყავი! - შევეუთვლი ხოლმე და ვემშვიდობები.

ზუსტად ექვს საათზე მოსამსახურე გოგონამ დოლაბისხელა აბი შემომიტანა. გადავუღვი ყანყრა-ტომი!

- „ცკალი!“ - მარტო ამის შეკვივლება მოასწროს. ჰჰჰ... ჰიჰიჰი-ც კი არ მითქვამს, „გუჰკაც კაცს წყალი რად უნდა, თავის ნერწყვიც ყოფის, ძვირფასო კეტი! ყოფილა დრო, თქვენს მონა-მორჩილს - განა ქალისა - თბილი და გრილი, - კალთა მითის უთიბია, ცხელი და ფიცხელი - და, ცელ-სალესველნი ნერწყვით უსველებია!“

„ცკალი“ იმიტომ თქვა, რომ პოლონელია, ძვალ-სხვილი. ამიტომ, მე - „კეტი“ მაკმაყოფილებს.

მეტი რა ვქნა ამ დილის ექვსზე. თან უმიზეზოდ ვარ კარგ გუნებაზე, ატეხილი ვარ და ატრუბული:
- „რაა, ბიჭო, სიცოცხლე გიხარიაო!“
რომ მეტყოდნენ ხოლმე დაცინვით, სწორედ ისეთ გუნებაზე ვარ.
სიცოცხლე ჭყივის ჩემში, შეურევნელი! და მივხამაურებ ლინდაგს...

ზოგაერთ ნეტარ ხეობას კი მატარებლის გუგუნი აღვიძებს, ვირს ვინ მოუსმენს...

XIX საუკუნე ყველაზე გაღვიძების საუკუნე იყო, ორთქლმავალის გუგუნიც ისმოდა და ვირსაც შეეძლო ჭალაში ოცნება.

უკანასკნელად ამ საუკუნეში გაიმაგრა ფრთე-

ბი კაცის გაპუტულმა ოცნებამ, და გაფრენას ელამებოდა აზრის კვარცხლბეკიდან, მაგრამ აკავებდნენ, შეიცადენ, კიდევ შეგმოსოთო, და აფრთიანებდნენ უტხო და უტხო ფრინველის ნაკრტებით, და ყველას, ვისაც სად შექედო, მიჰქონდა თავის მინის და ცის ფრინველის ნაყოფი...

ჩვენგანაც წაიღეს ორბისა და არწივის მხრები და შეურეცს სხვათა ქათმისა და ბატის ბუმბულში... კიდევ კარგი, თან ჰქონდათ ჩვენებური - ქვეყნიერებაზე ყველაზე გრძელხორთუმიანი ფუტკრის სანთელი, - მისანებებლად.

ახდენილი ოცნება რალა ოცნებაა, ნატვრაც პირიქით ახდებდა ხოლმე, სჯობს იქ იყოს ყველაფერი, სადაც რომ არის.

კავკასიონის სამხრეთ კალთებზე ტყვილა რომ ოცნებობდნენ, ისე არ მოხდეს: ვითომ გვირაბს გამოთხრიდნენ კლდე-ყინულებში ჩრდილოეთიდან და ამათ გასართობად ორთქლმავალი განითლვებულ ცხვირს გამოყოფდა.

ვერ გამოჩხვირა „პარახოტმა“ კლდიან-ყინულიანი მთები...

გამოსთხრიდა და დაუხვდებოდა კიდევაც ყოჩივით რქებმარწუხიანი ჩვენი მდინარე, შერკინება იქნებოდა რაგბული...

მაგრამ ვერა, თავის ბედად „პარახოტმა“ ვერ გამოჩხვირა.

სამაგიეროდ, ადიდებულმა მდინარეებმა იციან ხოლმე უმიზეზოდ შეჭედება, ასევე ჩვენში: წამოიგრაგნებიან და ტინებივით ერთმანეთს ეხეთქებიან, ოლონდ, ნელსზევით, ბერძნულ-რომაულ სტილში... და ძირს იყრებიან ნაფხვენებად, და მოსულიერებას იხვენებიან ქვეყნიერებისგან.

- უყუო, უყუო, უყუო! - „ჯერ ერთი, შენს პატრონს უყავი, და, მეორეც, შვიდი წუთი გადაგიცდა, ძვირფასო!“

- კეტი, საათი! ჩემი მო-წამებრივი...

„ბიჭო გოგია, ბიჭო გოგია...“ მალობელი ჩიტია, ვითომ დედა შილს ეძახის: - ბიჭო, გოგია! სტვენით ცოტას მიბაძავ, დაწერით - ვერა.

იცით, რომ ჩვენ პლანეტა X-ის საიქიო ვართ?!

ამას რომ კაცი დაწერს, ეტყობა მთელ დღეს ლუკმა-პურის ძებნას არ ანდომებს, ეტყობა, არც ხელედი აქვს გადატყაულები, პირიქით, ეკავება უსაქმობისგან. ეტყობა სიტუაცია თავისუფლება აქვს, მიდმორობს დედამინაზე, ხან აღმაა, ხან დაღმა, სანამ არ დაიჭურენ და გამოკეტავენ... მაგრამ ფიქრს ვერ მისწვდებიან, რომ ჯადას ამომრთმევი ბორწკალი იხმარონ და იტყვიან: - ეტყობა, გიჟია!..

ათასი ვარიანტია, ამას რომ კაცი დაწერს. ხომ ნახეთ სხვისი დაწერლის თარგმნამაც კი რა დამწობთ: ელვაგან დამკრა და კალამი ხელიდან გამავლებია.

და რა დაემართებოდა იმას, ვინც ასეთი რწმენითაა!

შესაძლოა, გათქვა კიდევაც სამყაროს საიდუმ-

ლო, შეიძლება „მესმინავა,“ ჩაუვარდა გულში ჩემი ნათქვამი:

„ყური მოვუძაბრე ცასა, ვთქვი, თუ, ვნახო, მეტყვის რასა!..“ ადგა და... მოუძაბრა ცას ყური. და მოიმოქმედა ეს არა ცისკრის ამოხდომისას, როგორც ჩემი წესისა, არამედ მიმწუნრისას, როცა ღამდება და ბნელდება.

ან, შესაძლოა, ეს მოიმოქმედა „კუდიანთ ნუხრაში“, ღამით, როცა კუდიანების შიშით გარეთ ვერავინ გამოდის, „მესმინავს“ გარდა.

შეიძლება ის ვინმე, „განათლებულია“ და ამისგან ვერ მოუხვევია. აბა, სადღაც კავკასიონის მთების ძირში რომ ცხოვრობს კაცი, და, მთელ დღეს ლუკმის ძებნას ახმარს, ფიქრისთვის სცხელა? დამის მთელი დრო ცხოვრობისა, ტურა-მელა-კატამგელივით და არ იცის რას ექვს.

მაგრამ სულ ზრუნავს. და ამით, არც ემატება და არც აკლდება, როგორც საათის ისარს... შემოივლის ქვეყანას და - იქვეა, - საიდანაც წავიდა.

გაშლის ერთ ხელს - არაფერი! გაშლის მეორეს - არაფერი!

და ამასობაში ღამეც მოუსწრებს, შესაძლოა - „კუდიანთ ნუხრაც“ დამთხვას: დამთხვეულების-დამთხვევის თეორიის ძალით, როგორცაა აწყობილი „ქაჯ-ემბაკები“.

იცით, რომ ჩვენ პლანეტა X-ის საიქიო ვართ?!

რალაც იდუმალი კავშირი სამყაროსა და ადამიანს შორის ალბათ არის და ეს უმცირესიც როგორ უნდა გაიმეტო გასაცემად!

რა მოხდა? იქნებ დადგა დრო გამოცხადებისა, თორემ ხომ ხედავთ, ადამიანები ვეღარ ითმენენ! მაგრამ, ის, ვინმე, დაიჭირეს კია?

გავრცელდა ხმა, რომ მისმა მეგობრებმა ვერც ერთ ციხეში ვერ აღმოაჩინეს.

შეიძლება მოკლეს!

თუ ცოცხალია, თუ ქვეყნიდან გასვლა მოახერხა, - ასეთი პრობლემა, - ქვეყნიდან გასვლა და ქვეყანაში შესვლა, - დღეს ძალიან აქტუალურია, მაშინ, აი, რა მოხდებოდა:

არის კავკასიონის ყინულოვანი მთების ძირში ერთი მხარე, სადაც დედამიწაზე წყლის რღვნამდელი ამბები აქვთ შემონახული ზეპირ ანდერძებში.

იქ ჰყავთ ერთი „ბუზურა“, - მწერი, დიდი და ჭრელი კელა, რომელიც ფიჭას - კლდეებში და ქვებში იკეთებს.

ეს „ბუზურა“ ამ მხარის მთებში იმითაა ცნობილი, რომ სწორედ მის სახეს მიიღებენ ხოლმე გმირები, როცა უჩინრად უნდათ სადმე შეღწევა: ციხეში, სამჭედლოში, ცხენის ღრუვში თუ ქალის გულისჯიბებში... ამას იმიტომ ვამბობ ასე დაბეჯითებით, რომ ბავშვობიდან დაწყებული, თვითონაც ბევრჯერ გადავქცეულვარ ბუზურად და ისე ვადამიანაბას საკლასო ოთახებში, მასწავლებლების პარიერები, საზღვრები, საბაჟოები... შეუმჩნეველად შევსულვარ დახურულ კარში, შემოდევია ოქროს ზოდებში, მომისმენია სხვა და სხვა კონფიდენციალუ-

რი საუბრები და ქალის უბუმიც კი ჩამძინებია, მისი გულისცემის ერთფეროვანი რიტმისგან.

ამავე მხარეში, სანყენად და სააუგოდ იციან ერთმანეთისთვის თქმა: „შე საქმე გათავებულო!“

მართლაც, კაცს თუ საქმე არ ექნა, ან ხელს რა უყის, ან ფეხს, ან თავს?

ისევე, როგორც ჩვენი დაუსვენარი სულეტი მიფრინავს სხვა პლანეტაზე, სხვიდან სხვაზე, და, ასე შემდეგ. სანამ მოაღწევნ ღვთის სასუფეველს.

ასე რომ, ადამიანის ენაზე ნათქვამი „საიქიო“ და „სულეტი“ ერთი და იგივეა და სწორი. და, რაკი ადამიანის ზურგზე გადადის ყველაფერი, ისიც გაუცნობიერებლად განუდგას სამოხტეს და ჯოჯოხეთს.

ერთი კარგია, მეორე - ცუდი.

და განა ასე არაა ჩვენს დედამიწაზე?

ცეცხლი არ გვეცვივა ხოლმე პირიდან? ნეტარებაში არ ვიძირებით?

შესაძლოა ვინმეს მეცნიერულადაც დაუსაბუთებია, მაგრამ ძველ ანდერძებში ძალიან აქტიურია „სარკე“ და „უხილავი“.

ხომ საინტერესო წყვილია?

სარკეში იმიტომ ვიყურებით, რომ დავინახოთ „უხილავი“, ანუ ჩვენი თავი. და ეს უხილავის ნებაზეა და სარკის შემთხვევაზე.

ადამიანის სული უხილაია. რატომ უნდა იყოს სული დამალოელი?

წინათ ბავშვი საკუთარ ჭერქვეშ იზადებოდა და მისი სული მთელ სახლს - სასახლეს, ქოხს - ავსებდა.

ჩემს თავზე არ ვიცი, და, ქალზე კი შემიძლია მოგახსენოთ: „ისეთი ენაწყლიანი დედაკაცი იყო, რომ წყაროდან ნამოლებული კოკა გზაში უდუღდებოდა.“

ჩემს თავზე არ ვიცი, და, ქალზე კი შემიძლია მოგახსენოთ: „ისეთი ენაწყლიანი დედაკაცი იყო, რომ წყაროდან ნამოლებული კოკა გზაში უდუღდებოდა.“

არავითარი წყნის მომხრე არა ვარ, არათუ - ტყენის.

წამების, მკვლელობის, ძალმომობიების... ბევრი ბევრნაირის ინაგურაცია მინახავს, მხოლოდ ერთი დამამასოვრდა:

ბოროტმოქმედი დიქტატორის ინაგურაცია სახრჩობელაზე.

განაჩენი იყო, როგორც განაჩენი და ყოველი სიტყვა მასში - ჩვენ ადამიანის.

დიქტატორშიც ყოველი სიტყვა იყო ჩვენ ადამიანის.

და არც ერთი სიტყვა თავისი.

შესაძლოა იმ ნამშობაც, როდესაც თქვა: „უარესი უნდა მექნა, თქვენი დედა კი...“

ის სიტყვებაც იყო ჩვენი, ჩვენ ადამიანის.

ჩვენ ვიყავით ის კისერიც და ის თოკიცა.

უცხოზე უნდა უცხოდ ნერო, ჩინურზე - ჩინურად. სამოთხე ძნელი წარმოსადგენია, ჯოჯოხეთი - ადვილი. ყველაფერი სახლდანაა ნადებული, მხოლოდ ზოგერთი მომენტია გაზვიადებული, ზოგიც იქაური ფოხს: იქ, შვილი მამას სიმძიმეს არ გამოუჩენს.

საიქიო უძღურნი ხელითაა გადახატული სააქა-
ოდან, ბერიოა უცხო და შენიანი. ბერიო ხალხია, ცას
მიბჯენილი სასახლე დგას, დიდი კარი აქვს, შესას-
ვლელთან თეთრწვერიანი მოხუცი ზის და იმათ ახა-
რისხებს, ვინც ბენვის ხიდი გადმოლახა: ვინც ვერა,
კუპრის ალში ჩაიწვა ალბათ, ჩიტის ნაკრტენივით.

სასახლის კარს ორი ძალი იცავს, არ შეგიშვე-
ბენ, სანამ სააქოდან წაღებულ „სვხალს“ არ გა-
დაუყრი. ერთი იქით გაიქცევა, მეორე - აქეთ და
შეხვდა, როგორც ვაგზალში.

მე არ ვიცი, რაზე უნდა გამოიჩარხოს ადამიანი,
რომ იყოს ის, რაზეც ოცნებობს. ალბათ ბერი უნ-
და იტრილოს.

ჩემთვის ფიქრია ბენვის ხიდი: ყოველ გავლაზე
ჯოჯობეთში მადგებს, სამოთხისთვის თვლიც არ
მომიკრავს. ამიტომაც მიჩრეენია დავეთანხმო, რომ
ადამიანის სული (რა გზით, რა ენერგიით, რა რწმე-
ნით?) სხვა პლანეტაზე მიფრინავს, რომ შემდგომი
საფეხური განვლოს და განვითარდეს: როგორც მე
სოფლიდან ქალაქში ჩამოვდი და განსვითარებლად,
და, დღეს, ამხნისა, ბავშვობას ვნატრობ.

თუ რამდენადაა გადახატული საიქიო სააქაო-
დან, ის ფაქტიც მოწმობს, რომ მშობლისთვის - გარ-
დაცვლილი შვილი საიქიოშიც განაგრძობს ზრდას
და ტანსაცმელი უპატარავდება (ტანსაცმელი იქაც
ყველას უცვდება), ამიტომაც ახალს უკერავენ და
ვინმეს ჩუქნიან.

ცოცხალი მონმე ვარ: ასეთ ნაჩუქარ ტანსაც-
მელში გავიზარდე და დღესაც განავარძობ, - სხვის
ნაცვლებში ვებრდები.

ღმერთმა ყველა გაახაროს!

მაგრამ ამ ნაჩუქარ-ნახსვისარებში უკეთესი
გვირგვინი ჩემი თანაკურსელის, ელისაბედის მიერ
ნაჩუქარი, გარდაცვლილი მამის ნაქონი პალტოა.
მასსოვს, მხოლოდ მთავრობას ეცვა ისეთი!

კითხულობს ხალხი: „თუ ღარიბია, ასე ძვირფა-
სი პალტო საიდან?“

ჩემი ტანისამოსი აზრში და ლოლიკაში რომ გა-
დაიყვანო, მაშინ სახლის ბრძენი თუთუყუში გამო-
ვალ.

ხანდახან რამეს გამოიმწვდიან, - აჰაო! - მე ვე-
მორჩილები.

არასოდეს არ თქვა - „რა ვჭამო?“ ხელი გაიწო-
დე და ჭამე.

ჯერ შინ უნდა იყო, რომ გარეთ გახვიდე.
ყველაფერი გარეთ ილუნება და ტყდება.
ყველაფერი შინ სწორდება და მიივლება.
კაცი შინ არის.

გარეთ კაცი ამბავია, შინ თვითონ არის.
შინიდან გასულს ეტყობა ამბავში.

შინ გამტყდარი გარეთ არ მთელდება.

შინ გალუნული გარეთ არ იმართება.

ვინც გავა შინიდან, ეს უნდა ახსოვდეს.

ეს უნდა ახსოვდეს, ვინც შინ დარჩება.

შინიდან წასულ ყრმას აბგას აპკიდებენ, ისე
უშვებენ.

შინ კაცს ხალისს აპყრიან და ისე უშვებენ.

მე ერთ წინადადებასაც ვერ მოვიგონებ,
გული რომ არ მქონდეს საკუთარი.

ყველა ცდილობს, რომ ვილაცას უბრძანოს,
მე ვცდილობ, რომ ჩემს თავს ვუბრძანო:

- აიღოს მან კაცმან ცოცხი და დაგავოს!

გამარჯვებული გამოვა საქმიდან,

ნასმობიდან ხომ არ გამოდიოდა,

საქმეს აკეთებდა.

- დაილა? დაისვენებს. საქმე ექნება

გაკეთებული.

დრო და დრო თუ არ მოიტაცა კაცმა თავის თავი,
სულ წაყვანილი ჰყავთ ქაჯებს და ეშმაკებს.

სიბერე - თამაშია, სიღარიბეც - თამაში. მაგ-
რამ მოსაწყენია ორივე. ამიტომაც, რომ წმინდა გი-
ორგი ნამკრავს ხოლმე მათრახის წვერს და ავ-
ფრთხვებო, რაშიც ვარ, იქიდან და სადაც ვარ, იქი-
დან, და... ნავალ სხვა მოსაწყენებში.

ბავშვობაში დავინყებდი ხოლმე ლაპარაკს, გა-
ვაბამდი, აღარ გჩერდებოდი... მეც მიკვირდა, სხვებ-
საც უკვირდა, აღარ გჩერდებოდი!

„ - აგაყავებ, ბალო შენა, ვირის საცემს აგა-
ტანინებ!“ - მეტყოდნენ.

ერთხელ კალოზე ავტყედი ასე, მოვიდა ქრისტეს
თიხის კაცი, ქიტო პაპა, დახარა ჩემსკენ, და მკითხა
საიდუმლოდ: „ - ბალო, რა გაუბნებს შენა?

აეხლაც, ბაგე დამიძრა ღმერთმა!

მე ვუნდივარ თავის მეენედ,

მიძანებს:

„გამიღე ენა, ნუ აწვალებ, ნუ უჭერ კბილთა:
შენ მინიღებ ჩემს მეენედ, შენს ენაზე უნდა
დავლო ჩემი ნაწერი.“

აბძანდეს ზარი!..“

აეხლა, ღვთის პირით დავინყებ საუბარს,
შემსმენის ყური გაიგებს, ბძანებად არ
მოეჩვენება.

ვინ შეთხზავს შემსმენს?
დატუქსული ბალახის ყურებს ვინ გამოისხამს?

აეხლა, რო ავექდავდები, ერთ სიტყვის
პატრონიც არ ვიქნები ჩემით.
ჩემით ვერც მხარს ვიცვლი, ვერც ვივლი,
ვერც დავდგები.
ცხადი, სიზმარი, როგორც არჩევდით, ისე
გაარჩიეთ.

ანარეკლი თუ ჰპოვოთ რამე, არ გადაავდოთ,
რადგან თვითონ ხართ ანარეკლი.
ცნობა-ნდობით უნდა შეეყაროთ.

სულეთში ხედვდა სურვილით არ არის!
სიღარიბე ლოცვით არ არის.

სიბერეს თავისი აქვს საგოგავნიც და
სახედველნიც,
არავისი შეფერის.

არც აზრით, არც გონებით,
არც ქარით არც საქმით
ღმერთის მოცემით, ჩემი თქმით.

აბბანდა ზარი!
სულუქცევრად ნუ დაღვეთ ჩემს მონვდილ
სასმისს,
ათასმწარეგემოიანი როა, იმ მიზეზითაც.
რადგან მარტივია ის კაცი, ვინაც მოგანოდათ,
ცის ნებაზეა და მისი იმედზე,
არ არის ნატანჯი მისვლა-მოსვლებით,
სამახურებით, ნაცნობ-უცნობებით,
სმა-ჭამით და სურვილებითა,
დადის ღვთის კარზე, ცის კიბეებით
და მუხლისჩოქეთ დედამინისთვის ღმერთს
ხეხუნება

განვდილ ბარძიმით,
დანთებულ სანთლით...

ნელ-ნელა შეექვეცით ჩემს მორთმეულს,
თავაზიანად...

რადგან:
არაფერი იყოფა ორად ისეთი ხალისით,
როგორც ადამიანი!
თქვენის ჭკუით, ჩემი უჭკუობით,
კარიც ღია გქონდეს და საკვაშიურც ცას
მიპყრობილი.

ბევრი ხმაური ერთი ადამიანისთვის

ყველაფერი ხმაურობს. იმისთვის კი არა, რომ
დილას სიცოცხლე გახაროს, ხმაურობს, რომ ჩაგახ-
შოს, გადავიაროს, ავითრიოს გასრესილი ბაყაყი-
ვით და შენი ტყავი ასფალტად აქციოს.

ყველაფერი ხმაურობს. წუთს წუთი ემატება,
გუშინდელს - გუშინწინდელი, წარსულს - ისტორია,
ლიტერატურა, ტელევიზია, ინტერნეტი, შეთხზუ-
ლი თუ ნამდვილი სახეები...

ყველაფერი ხმაურობს. მეც ვხმაურობ, შენც
ხმაურობ, ისინიც ხმაურობენ და შედეგად, ყოველ
დილას ყველაფერი ხმაურის პირმშოა: - პურ-ფუნ-
თუშული, ყველი, შეფუთული საუცბათეო სასან-
სალი - ამიტომაცაა, ფატგადაფარებული მკვდრე-
ბევით რომ ციმციმებენ - მკვდარზე სუფთა რა არის!
მით უფრო, რომ უმეტყველოა. აბა, ალაპარაკეთ!
ხმაური მაშინ ნახეთ!

მაგრამ ყველაფერი ფუჭებადია, ყველანაირ სა-
ქონელს ვარგისიანობის ვადა აკვრია. მკვდარიც
სუფთაა, სანამ გაფუჭდება.

ხმაური არასოდეს ფუჭდება. ის თესლივით ღვივ-
დება ადამიანში და მის ტანსაცმელში ხელეგბაყრი-
ლი და ფეხსაცმელში ფეხებჩანაცობილი მწვანეტო-
ტებიანი ხესავით დაიარება მთელ ქვეყნიერებაზე.
ადამიანში მხოლოდ „ხვალა“, მხოლოდ „ხვა-
ლა“ ხმაურის, მოძრაობის და გადაადგილების უნარ-

მქონე. მომავალიცაა ადამიანში, მდუმარედ მით-
ვლემილ საყვარელ კატასავით. წარსულიც, მიუხე-
დავად იმისა, რომ სულ იყრება ნაგავივით, კაცის
ურნა ყოველ დილას მაინც სასევა.

ხმაური მიდის და ხმაური მოდის. მის გარდა წინ
და უკან არაფერი მოძრაობს დასახლებულ დედა-
მინაზე.

დაუსახლებელ ადგილებში მგელი მიდმორობს.
ხმაური დადის ჩვენთან ერთად - მანქანებით,
თვითმფრინავებით, ჩვენით, - ჩვენს ტანსაცმელში
ხელებგაყრილი და ფეხსაცმელებში ფეხებჩანაცობი-
ლი, დადის მწვანეტოტებიანი ხესავით, ვიდრე დღე
არ მოუვ და არ გახმება.

- აბა, გაიხედეთ! ვინ მიდის ხმაურთან ერთად?
- დიახ! ჩვენი დრო ციფერბლატების!
ეს მიუთითებს, რომ არის გონიერ ხალხებში სპე-
ციფიკური განსხვავებები.

ოთხი „შ“

ამ ქვეყნად არსებობს ოთხი - „შ.“ პირველი შ. -
შიში, მეორე შ. - შიმშილი, მესამე შ. - შეშა, მეოთხე
შ. - შავი.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი „შ“ ვარ მე. ვცხოვ-
რობ ფსევდო-ქვეყანაში, ვარ ფსევდო-ფერისა. აფ-
რიკაში მოხვედრილი ყველა თეთრკანიანი, იქაუ-
რობასთან ფსევდო-შესახამებლად, ჩემს ფერს ინატ-
რებდა, რადგან ყველაზე ახლოს მე ვდგავარ შავკა-
ნიანთან. ასევე მოუნდებოდათ ჩემი კანის ფერი,
ფსევდო-თეთრისთვის, შავკანიანებსაც, რადგან ისე-
ვე ახლოს ვარ თეთრკანიანებთან, როგორც ზოგი
სურვილი სინამდვილესთან. ბაკი შავი ვარ და მუქი
თეთრი... რადგან ღმერთის ნებაა, იყოს ვინმე ზო-
გადკანიანი.

მასსოვს, პარიზში, ყველა ფერადკანიანი, ქუჩა-
ში, მეტროს, გაჩერებებზე, ისე მიყურებდა, რო-
გორც თავის ღმერთს, რა თქმა შეიძლება შესაბამის
მოკრძალებით: ყველანი, ბადრიჯნისფერად დაწყე-
ბული ნახშირისფერით დამთავრებული, პატარძა-
ლივით თვალესქვემოდან მზევრავდნენ, ერთს არ
გაუბედავს პირდაპირ შემოხედვა. თუმცა, ერთხელ,
ექსკურსიაზე ჩამოსულმა თვალწარმტაცმა ნივთი-
ელებმა მაინც შეძლეს და მომიტაცეს: - აქ რა უნდა
ჩვენს ღმერთს! ჩამავდეს ავტობუსში და დიხხანს
მიცავდნენ პოლიციისაგან. ნეტა ნავეყვანე!

თბილბურუსიანი უქმი დღის დილას მივდივარ
და კარგ გუნებაზე ვარ. ცხენსა ვზივარ, ჩემს შუე
ცხენზე, უნაგირზე ამოკუსულვარ და... შავი ვარ,
შავი ცხენი მყავს, შავი თექალთო მიგია და... - სად
მიშავდებით, რომ მეტყვიდი ხოლმე, ბებიჩემო, უნ-
და გიხარო, რომ შენი შვილის-შვილის-შვილი კარ-
გადაა, ისე კარგადაა, რომ არც იცის სად მიშავდე-
ბა, რა მინაა, რა ადგილი, რა კონტინენტი, რადგან
როცა კარგად ხარ, ყველაფერი ეტევა შენში, ცოდ-
ნაც-ხახახახა-კი.

რაც მთავარია, შენი შვილიშვილი არ გრძნობს
არც პირველ შ.-ს, არც მეორეს, არც მესამეს და
არც მეოთხეს, რომელმაც ახლა ამოყვინთა ზღვის
სანაპიროდან, შეიმშრალა, გადაიცვა, შეახტა ასან-

თვით სწრაფ მოტოციკლეტს და აქეთკენ აიღო გე-
ზი, რადგან თბილბურუსიანი უქმი დღეა აქ, და ქუ-
ჩაში ცოტა ხალხია... მაგრამ მე გული არავითარ ხი-
ფათ არ მიგრძობს, ისე არის ხალხისში გართული.
„მთავარია ასანთი აინთოს, მერე ხალსაც გინდა, წაე-
კიდება.“ - სულ რომ მტაცებელი რეადაც ვიხანოს...
და კიდევ: „მე ჩემი შვილიშვილისთვის არასოდეს
მიცვლია!“ - „ჰო, არ გიცემივარ, სამაგიეროდ რო-
გორ მიყურებდი? - ცემაზე უარესად!..“ - გიპასუხე,
მაგრამ მიწვევა, რომ ცუდად გესმოდა ახა ხმამაღ-
ლა ჩაგძახე - ჰო, ჩემო საყვარელო-მეთქი.

ასე ცვლიან სიტყვებს და მანქანის სიჩქარეებს...
მაღე დავიწყებ დაბერებას. კარგია. უსაფრთხო შე-
ვიქნები. მოხუცს, თუ შეურაცხყოფიან, ახალგაზრდო-
ბა უნდება, კვებნასავით. ამიტომაც, იშვიათად შეუ-
რაცხყოფენ... ცოდნაც, თუ ამოვუცლავე სადმე, არ გა-
გიკვირდეთ, კარგი მასწავლებელი მაყლაპებდა...

- შენ, ჰეი, შევტრკაა მონაე! - მომესმა ზურ-
გსუნიდან, ინტონაციაზე და არა აზრზე გათვლილი
მომხარება და მოთხივე შ. - ში შემადგო, შეჩვეულ
სოროში, კარგი ამინდით დაძახებულ მელისავლით.
მოვიბუზე, გავყუჩდი, მოკვდი, თავი მოვიყრუე...
ღირსი ვიყავი: მოვდიოდი ტანის რხევით, ნელის მიძი-
ვებს ხერხემლის ლილეზე კარგად დაპოხილი ჭანჭი-
კებით გატრიალებდი, არ ვიციოდ სად ვიყავი, ვინ
ვიყავი, თეთრი ვიყავი თუ შავი... ახლა უკვე ის გავ-
ხდი, ვისაც არ უნდა დაიჯეროს, რომ მას ეძახიან,
უნდა თავი მოაწივნოს, რომ არ ესმის, თუმცა,
გრძნობს, იციან, მაგრამ სხვა რა ქნას, რომ არ მო-
აწივნოს: - იქნებ ყრუა, იქნებ ცუდად ესმის დიდი
ბებიასავით, სამომავლოდითი სიყრუეც ხოა, თუმცა,
სინამდვილეში მისი დიდი ბებუის ბებია ცუდად
გაროზგეს... ერთი კია: კაცს ზურგიდან არ ეტყობა,
ესმის ძახილი თუ ყრუა, ამიტომაც, მაშინ უნდა შებ-
რუნდეს, როცა დიდი ნაგავი პირის ორთქლით ყურ-
ში ჩაგძახებს... მოებრუნდი და, მხოლოდ სიბერე-
დანყებულის ქალი მოდიოდა ათიოდ ნაბიჯზე, ხმა კი
უკვე ჩემში იყო, როგორც ხდება ხოლმე, სანამ თავ-
ზე დაგადგებიან და ფეხქვეშ გამოგაცვლებს მიწა,
რომელიც დასაწყისში არავისი იყო, არც რამე ქვეყ-
ნის, არც რამე ქალაქის, უბრალოდ შენი იყო ამ წუ-
თამდე, უმცროსი მძისთვის ნათხოვარ ქამარავით...
ინტერნეტში ყველაფერია, ჰაერის გარდა, ეს ვერ
გაიგო ჩემმა უმცროსმა ძმამ. და თავისი უფლებაც
მარტო ჰაერშია... ჰკითხოს ვისაც გამოცდილი ექვს.
და ახლა უკვე ოფლიან ზურგზე ანაბეჭდების ასა-
ლებად მახტობა ძალი, რომ ყველაფერი კანონით
იყოს. სენმა გამისხნა: მირტყამდე, გრეხვა მენყება.
ძლივს ვბრუნდები, ზურგზე დაკიდებული ძალის
სიმძიმისგან, ვიყურები თვალბედაჭყეტილი და...
ისევის, მრგობზე მსუბუქად ასაკუმოხვეული თეთრ
მანდილოსანი, რომელიც, ეტყობა სულ სხვაინაი-
რი გამოვიდა სახლიდან და უკირს, რომ ახლა სხვა-
ნაირია. მე არ მიკვირს.

სწორედ ამ წუთში, ძლივსგასაგონად დაუბერა
სამხრეთის ქარმა და მოიგნა ხმა შავკანიანების
გაუქმებული სასაფლაოს სამრეკლოს ზარისა, რო-
მელიც არც ერთ ენაზე არ ისმის, რადგან არ შეიძ-
ლება ზარის ხმის კაცის ენაზე თარგმნა, თუნდაც

ისე აიღოს მთარგმნელმა-კაცმა თვაზე ხელი, რომ
წერისგან ჯერ დამდაბლდეს და მერე გაგიფდეს.

„მე ვარ - ის!“ - რაკი სხვა არავინაა, რომ იყოს.“
ამ აღმოჩენამ ძალა შემმატა და თეთრ ქალბა-
ტონს მივეტრიალდი.

- ქალბატონო, მომხარეთ რამე?

- არა, ბატონო, მე თქვენთვის არ მომიმართავს.

- თქვენ არ მიღრიალეთ, - შუო მონაე!

- გიღრიალეთ? მე, საერთოდ, ხმაანევიც ლაბა-
რაკიც არ შემიძლია. ამან ცუდი სასასურცი კი გა-
მინია ცხოვრებაში. ყველას ჰგონია, რომ შემიძლია
საძაველებს გავუძლო. თუ სიმართლე გინდათ, მე
ერთ ჩემს ყოფილ შავკანიან მონაფეზე ვფიქრობ-
დი. მაგრამ ეს დიდი ხნის წინათ იყო, თუმცა მასწავ-
ლებლობას თავი იმ ბიჭის გამო დავანებე. აბა გაიხ-
სენეთ, ის ხმა ჩემსას ჰგავდა?

- არა. ის დიდი, ძონძროხა კაცის ხმა იყო, რომე-
ლიც სამსახურებრივ ვალს კი არ იხდიდა იმ ღრი-
ალით, არამედ მსხვერპლს სწირავდა და რიტუალს
იხდიდა.

- იცით რას გეტყვით? მე ენასა და ლიტერატუ-
რას ვასწავლიდი და ვიცი, რომ დღეს ისეთ მოძვე-
ლებულ ტერმინს, როგორც „შავი მონაა,“ აღარ
ხმარობენ. უბრალოდ, მთელი დღე რომ იართო ქა-
ლაქში და, ვთქვამ, ვინმეს თქენით არასობრივ შეუ-
რაცხყოფა მოუწინდეს, ამ ფორმით რასობრივ მომარ-
თავთ. მაგ ფორმას ოდესღაც ხმარობდნენ ნაგავი-
ანი და შეიარაღებული პლანტატორები, რომლებიც
მართლაც თვლიდნენ თქენის წინააღმდეგ მოწეად.
შესაძლოა ეს განცდა იქიდან აგვეყთ, რომ რაიმეს
კითხულობდით ამ თემაზე. ძალიან დიდი მწერლები
წერდნენ... მაგალითად, ერთი ახირებულსახელიანი
ქვეყნის მწერალს დათვლილიც კი აქვს, თუ რამ-
დენჯერ უჭირია ბავშვობაში „ბიძია თომას ქოხის“
გამო... რაკი მასში ოთხივე „შ“ იყო, და, ამით ეხმაუ-
რებოდა მივლი მისი სოფლის, ქვეყნის, გარემოს
სინამდვილეს და ბავშვის ერთ ოთახში შეკუნჭულ
ოჯახსაც - მას, დედამისს და ლოჯიანად ჩავარდნილ
ბებიას.

- არა! ოც წელზე მეტია, წიგნი არ გადამიფურ-
ცვლავს.

- საკვირველია!.. ოც წელზე მეტია, რაც მე მას-
წავლებლობას დავანებე თავი.

- ნაწერებს არაფერი შეუცვლიათ ისტორიაში.
ადამიანები ცვლიან ყველაფერს თავიანთ გადატყა-
ული უზურით. ეს რომ ვიგრძენის, ბოლო წიგნი ხე-
ლიდან გამივარდა კითხვაში.

- მემისი. დაახლოებით, მეც მაგ მიზეზით დავა-
ნებე თავი მასწავლებლობას. უფრო სწორად, ერთი
შავკანიანი მოსწავლე ნაწერებში რომ ვერ აღვზარ-
დე, სასოწარკვეთამ შემეპყრო.

- რა ჭირად თქვენს მოსწავლეს?

- გამოუცნობ დროს, შესაძლოა შუა გაკვეთილ-
ზეც, მოუჩვენებოდა, რომ ქალაქის სამხრეთიდან,
სადაც შავკანიანთა ყოფილი სასაფლაოა, რეკავდა
ზარი. რას რეკავდა, ვერ ამბობდა. უფროდ მათ-
რახტვე მოკუნტულ ძალს დამესგავსებოდა, სა-
ხეზე ხელებს იფარებდა, იგრძობოდა, ნკმუტუნებ-
და... ხანდახან, რომ შევიდოდი ხოლმე კლასში, შე-
მომუქლებოდნენ კარებში ბავშვები: - დაენე, მასწ.

- მუსუკი დაწყო! - ასე მონათლეს მისი გასაჭირი, რადგან მალევე, თითქოს გამოერწყო ტანჯვაო, თეთრი კბილებით უმანკოდ იხსნებოდა. სინამდვილეში, ვულკანის ბოლო ნაფლეთების ამოსროლა იყო ამ ბიჭის სასჯელი.

- ეისი სასჯელი?
- დროის.

- ეს იგავი თქვენ ჩემზე მოყვით? იქნებ ის ბიჭი დასჯილი იყო, რომ წარსულის ხსოვნა არ გადაშენებულყო და მისი სხეულით ველო მთელ ქვეყნიერებაზე. თქვენ იმეორებთ პირმტყუანი ადამიანების აზრს, - რომ ყველაფერი დამთავრდა, დრომ წაიღო და საშინელება აღარ განმეორდება. - დამთავრდა? გეკითხებით, დამთავრდა? ტყუილია! მთავრდება მხოლოდ კაცის ცხოვრება, რომელიც მის თავზე აღარ აღმოცენდება. ისტორია კი არ მთავრდება, ის არაა ერთი კაცის ტკივილი, რომ მორჩეს. ის გრძელდება!

მაბატით, რომ ამომხეთქა, ჩემსუნებურმა სახადამ, საუბედუროდ მე არ განვაგებ მას. ის მიშლის მე ცხოვრებას, ერევა ჩემს ხალისში, უმარტივესი სიხარულიც ვერ გამიბედავს, რომ არ დავისაჯვარ და შევევროთდე იმედინათა ქოროს, რომელმაც ტანჯვა გალობად აქციეს... ეტყობა სამხრეთის ქარი მუდამ იქროლებს. ვერც ნანერები, ვერც სამართალი და ზნეობა ვერ გააჩერებს. ადამიანებმა ყველა ტვირთი თვინათი გადატყაული ზურგით უნდა ატარონ. და ვიღაც უნდა მხოლოდ იმისთვის არსებობდეს, რომ ისტორიამ დაუკრას საყვირი:

„მე ვარ - ის!“ - რაკი სხვა არავინაა, რომ იყოს.“

- თქვენ ბრძანეთ, რომ ვილაცებმა ტანჯვა გალობად აქციეს! იქნებ ეს ყველაზე დიდი შურისძიებაა. როდესმე კალამი გიცდიათ? ამას იმიტომ გეკითხებით, რომ თქვენ გაქვთ ბუნებით თანდაყოლილი ნიჭი - კუზი! თქვენ არც ტანჯვის გამოგონება დაგჭირდებათ როდისმე და მასხარის სამოსსაც კარგად მორჩებთ. მეტი რა უნდა წერას, ანუ ადამიანის შურისძიებას საკუთარ წარსულზე. დაუბრუნდით თქვენს ფსევდო ქვეყანას და წერეთ სრულ დეგრადირებამდე.

- თქვენ?

- მე მოწყობილ ქვეყანაში ვცხოვრობ. აქ რომ წერო, პრობლემები უნდა გამოიგონო. ან რაიმე ბუხრისპირული ზღაპარი შეთხზა, ისეთი, რომ მილიონი წიგნი ერთ დღეში გაიყიდოს. ერთი ცალი არასოდეს არ გაიყიდება.

- ესე იგი, დიდი მწერლები დროზე დაგხოცვიან. ჩვენთან ერთ წიგნს უფრო მეტი მანსი აქვს გაიყიდოს, ვიდრე ათასს.

- არ უყვართ წიგნი?

- ეჯავრებათ! მაგრამ ეს არაფერს არ ცვლის. მეც მეჯავრება მკითხველი.

- ხომ გითხარით, ყველა ღირსებით ხართ დაჯილდოვებული.

მეორე-მესამე თუ მერამდენე დღეს, რომ აღმოვჩნდი ჩემ ფსევდო-ქვეყანაში, ერთი კარგი ამბავი მაინც ჩავიხიან ხალხის შესაქცევად. მთელი მსოფლიო, ნიგერიდან იაპონიამდე, ყოველნაშრო ერთ-

თნირად ცხოვრობს. ჩვენთანაც დამხვდა ცვლილებები: ადრე იტყოდნენ - ხვალ მოგიტან (შემას). თუ არ მოგიტანდა, სირცხვილი იყო. ახლა სირცხვილმა გვერდით გაიწია და სრული გაქრობაც უნდა ჰპირიზონტიდან. გეტყვიან: ხვალ-ზეგებები მოგიტან (შემას), რაც რეალურად ნიშნავს, რომ ან უსასრულად უნდა იჯდე გაციებულ ბუხართან, ან, არ მოგიტანენ საერთოდ.

მთავარი სინამდვილე ისაა, რომ სადაც ნახვალ, ყველა შენზე ეშმაკია - ტურა-მელა-კატა-მგელი... მოდი და იცხოვრე, ირქვი და არქვი ადამიანები.

მაგრამ წერა ხომ შურისძიებაა საკუთარ წარსულზე.

ესაა მიწა და არა სამშობლო, ესაა ადგილი და არა სახლი.

მარტო დედამიწაზე მაცხოვრებლების წარმოსახვა-ოცნებაში კი არა, მთელ სამყაროში მიმდინარეობს პლანეტათა-შორისი ომები. მიზეზი მარტივია, ერთ პლანეტას უნდა, რომ მეორემ მასავით იცხოვროს, იფიქროს, დამსგავსოს მას, მიიღოს უცხო ნეს-ჩვევები... და ამით დასაბამი მიეცეს პლანეტათა გლობალურ გაერთიანებას.

ეს რომ მოხდება, ჰკითხავენ ღმერთს, რომ მან ურჩიოს თუ განვითარების რომელ გზას დაადგინენ: დემოკრატიულს? რომელმაც სულ ცოტა ხნის წინ არ გაამართლა, თუ მონარქიულს? რომელმაც არ გაამართლა ცოტა უფრო ადრე, მაგრამ, რატომღაც ბევრი ინატროს.

თუ „დემოკრატიები“ ისტორიის ლოგიკას შევილიობენ, და თვინათი ფილოსოფიური ესკეპტით მახვილგონივრულად, უნდა ითქვას, მასხრად იგდებენ „მონარქისტებს“, ხალხის მოვლურ მუზა, ყოველგვარი თხოვნის გარეშე, იფე-მონარქს, თავდას, რაინდს და, მათ ღირსეულ მანდილოსნებს უშლერს.

ასეა თუ ისე, ახალ პლანეტარულ გაერთიანებას დღესდღეობით მხოლოდ ეს პრობლემა აქვს.

რა უცნაურია ცხოვრება! ყველაფერი, რაც ზემოთ ვთქვი, ჯადოსნურ სარკეში ვიხილე. იმ კუთხის ხალხმა კი, საიდანაც მე ვარ (გაერთიანებაში ხომ ყველა, ოდესღაც მაინც, საიდანღაცაა), სარკის შესახებ XIX საუკუნემდე მხოლოდ ზღაპრებიდან იცოდა. გარეთ რომ გაიხედავდნენ, ის იყო სარკე, ოღონდ „სარკმელი“ ერქვა.

„აქ“ დაბრუნებულმა ბევრი რამ ახალი ვიხილე. ხელისუფლება გამოცვლილიყო! მის ადგილზე დემოკრატიულ-მონარქისტული პარტია იჯდა. აი! შემოკარ ტაში, სულ რომ ვამბობდი, - ნამცვეცშიც კი სამყარო იგულისხმება-მეთქი... და სულის მოსათქმელად წავედი ბაზარში.

ბაზარი ჩემთვის ისეა, როგორც თქვენთვის - მუზეუმი, ამიტომ იქ უფულოდაც დავდივარ ხოლმე. მართალია, ხშირად ვყლაპავ ნერწყვს, მაგრამ ამის არ მშინია. ჩემში ნერწყვის ამოუთავებელი მარაგია, როგორც სადმე ნავთისა.

მაგრამ თვალს რომ წყალს ვალევიწებ!
ამაზე, დღე იმით მოადგეს ნერწყვი, სადაც ნავთია.

მიკვირდა, გზაზე უცხოელები რომ მოხშირებულნიყვნენ. განზილებდა არ ეტყობოდათ, ის ეტყობოდათ, ჩვენზე უფრო ლატაკი ადგილებიდან რომ იყვნენ.

მოსული ხალხი უფრო ხარბად უყურებს შენს მიწას, უნდა გაიგოს, რა ხერხით მოიპოვოს, უნდა, გაიგოს შენი ბედოვლათობის შესახებ, რადგან ხედავს, რომ შენი მიწის შეგებება არა გაქვს.

შენ ეკალი ხარ მოსულის თვალისთვის და ნასაბორძიკებელი მისი ფეხისთვის.

შეისმინე: შენი მიწისთვის ეკალი და ყუნჭი არ გახვდ!

აუჰ, შემიდგა ხმაური, ეხლა რა გამანელებს...
ყუნჭი ვთქვი? მაგაზე რაღაც ვიცოდი ოდესღაც, მეცინებოდა... რა იყო? ჰო!

„ორი დამპალი ყუნჭი ერთმანეთს რომ მიუბჯინო, დიდხანს გაძლებენ, ეგრეა ცოლ-ქმარიც.“

დიდი მეცადინეობა უნდა ადამიანს, ხალხი რომ არ გააცინოს!.

იმდენი ახალი შერნობები აღემართათ, რომ მძლივს მივადნეი. ინტერეს-ინტერესით ვიარე, ცვლილებებს შეგუებულმა.

ალარ იყო ბაზარი!

იმის ადგილზე უშველებელი, ჭეშმარიტი მეგასავაჭრო ცენტრი იდგა, მედიდურად ფეხებგაბოტილი.

ისე გადაგდებული შევიქენი, როგორც დიდი მოღვაწის ქვრივი.

ზარის ხმა მიკნავებული... ბატარეა დამჯდა-რი, ევეც პრობლემა გამიხდებდა... მიბრძანდით, კარი ღია... ცოტა ისე ვარ, ვწეწეწე... ეტყობა ვიღაც უცხოა... მიბრძანდით, კარი ღია... თქვენ ვთერში ხართ! რა ვქნა მეტი... მე ვერ ავდგები, ცოტა ისე ვარ... მიბრაზუნებს... ოჰ, მენი... კარი ღიაა, ღია, მოანეწით... ნელა იღებ კარი, ნელა შემოდის შუქი დერეფანში და, აჰა, შემოვიდნენ... უცხო სახეები არ მიკვირს, ხან ხელით მოაქვს ვიღაცას რაღაც, ხან პირით მოაქვს დაბარებულ... ისე, უარაფროდ არავინ მოდის... კარს რომ არ ვკეკტე, ამის მიზეზად ათას რამეს ვამბობ, ნამდვილად კი იმიტომ არ ვკეკტე, რომ რაკი მარტო ვცხოვრობ და თან ისეთ ასაკში ვარ, მეშინია უცებ არ მოვკვდე და ჩაკეტვითი იქამდე ავყროლდე, რომ ჩემი კარის ნიწვივით თითქმისტილებმა იარონ, სანამ იეჭვებენ, სანამ გაიკითხავენ-გამოიკითხავენ სულ ბოლოს მნახველმწუხველს, სანამ არ დაუძახებენ სასწრაფოს, მერე პოლიციას, სახანძროს, შემომამტვრევენ კარს ეს ბარბაროსები და ახალ საქმეს შეუდგებიან... საამისოდ ბლომად მყავს ფიცის კაცები, უზნის უსაქმურები, მსმელები, ფილოსოფოსები, საეჭვოები, ორიენტაცია დაკარგულები, კარგები, მეზუშარეები, უზნის მოამბეები... ჩემი ბინა-სტუდია ჯერ თავისუფლების კუნძული რომ ეგონათ, მაგრამ მალე დარწმუნდნენ, რომ ამ კერძო ტერიტორიაზე მკაცრი

კანონები მოქმედებს, ანუ კეთილგანწყობა და უსერიგო... ვისაც უაზრო და წარამარა ლაპარაკი უნდა, ავე, ქუჩა და პარკია, ძმამო!.. შემოსასვლელ კარზე განცხადება რომ მაქვს ვაკრული, იმანაც იმოქმედა ხალხზე - მივინ, რას ნიშნავს ნანერი!.. სოფელშიც მინდობდა მისი გამოკიდება, რადგან იქაც იგივე ადამიანებია, მაგრამ დავინდე - მართალი იგივეებია, მაგრამ ქალაქელები ნაწინააწინებენ, იმ მიზეზითაც, ვთქვათ, რომ თუ სოფელს ტელევიზია საოცრება ჰგონია, მაინც, რამდენიც არ უნდა ატრავს გამოსულობა, ქალაქელისთვის ორ კვარტალშია ის ტელე-მაყუნელობა და ალბათ რაღაც ვირტუალური ფოკუსით ნილობრივადაც ეკუთვნის.

ლიმილიანი სახეებით შემოვიდნენ სამნი, ეტყობა განცხადება ნაკითხეს. ბარემ გავაჟღერებ, სანამ ვწეწეწე, - ტრიბუნდიან:

სტუმარ-მასპინძლობის განაწესი:

I - ამ სახლში ყველა სტუმარია, ჩემს გარდა.

II დროს რაც შეეხება:

- გახსოვდეთ, ცოტა სჯობს სავესე, ვიდრე ბევრი - ცარიელი.

III - ხელცარიელი ნუ მეჩვენებით! - როგორც იტყობა ცაბათო უფალა.

სანამ ილიმებთან, ვსარგებლებ და ვბასუხობ იმ კითხვაზე, რასაც ტრადიციულად მისვამენ ხოლმე: „მთელ ქალაქში მარტო თქვენ ტოვებთ კარს ღიად, არ გეშინიათ?“ და მე უნდა აუხსნას: - ავე, მაგიდაზე, ხო ხედავთ ქალაქის ფულსაც და ხურდასაც... ეგაა, რასაც ქონება პქენია და შეიძლება სხვასაც დასჭირდეს... კი ბატონო, თუ მაგისთვის მოვა ვინმე! სხვა ნასალები აქ არაფერია, უფრო სწორად, კია აქ დიდძალი ქონება, მაგრამ მარტო ჩემთვისა აქვს დასაძრე. მე თუ ვჭირდები, კი, ბატონო, მასპინძლობა თუ ჭირდება კი, ბატონო!.. სხვა არაფერია აქ ნასალები. როცა მე ნამილებენ, მთელი კოლექტივი იქნება შუყრილი. მპარვი მპარავს არ გააქანებს.

დამბრძანდით, აი, მეც ნამოვჯექი.

ამბობენ, კიდევ: სიმარტოვე უყვარსო, - მეჯავრება! მე სივრცე მიყვარს და არა სიმარტოვე. სიმარტოვე ლიტერატურის შეითიხნულია და არა ბუნტიცა. მარტო რომ არ ყოფილიყო კაცია და უაზრო, ადამს ღმერთმა ოპერაციაც კი გაუკეთა. - ქალია ჩვენთვის საჭირო? - ნამემხმარა ერთ-ერთი ახალშემოსული, რომელსაც ეგონა რომ, როგორც არასტანდარტულად შემოვიდა, ისევე გაგრძელებოდა. სჩანს, კაცი ლიტერატურულ გავლენებს ემორჩილებოდა.

- ჰო, ქალი, ან მორჩილი! - ნავეხმარე ძალადკოლეგას...

ამდენი ხანი ვეძებ გიჟს: ასტრონომს, ფიზიკოსს, ლინგვისტს, სასულიეროს, გლეხს, ვაჭარს... მაგრამ ვერ მივაგეჩი.

ყველა მხოლოდ გიჟია.

სათაგურისხელა სოფელშიც იგივე ხდება, რაც სამხეცისხელა ქალაქში

დედამინაზე, სათაგურისხელა სოფელშიც იგივე ხდება, რაც სამხეცისხელა ქალაქში.

ერთხელაც იყო, მთაში გავეყვი ხალხს შემოხადა. ნავედით ორხიდიანი მანქანით, ავობლიდით ძარაზე ხუთი-ექვსი კაცი და კითხვა-თვალღერება ვუსწვევდით. - აის რა სოფელია, - აის რა ადგილია, რა მთაა, რა მდინარე... ენაწყლიანი, დაუზარელი ხალხი იყო. მე უკვე გამოზოგვით ვუსვამდი კითხვებს. - აის, მთის თავზე როა, რა სოფელია?

დავსვი, ჩემი აზრით, ბოლო კითხვა. - ისა? ნაჭყანტარია. - იქ ჭყანტსა და ჭაობს რა უნდოდა, კაცო? - რაი, აბა ეგრე ჰქვია. - იქნებ ჩვენ ეხლა ნაზღვავარზეც მივდივართ, იქნებ გემშიც ვსხედვართ, კაცო...

- მაგ სოფელში ხალხი ცხოვრობს?
- ხუთი-ექვსი სული.
- ხუმარაშვილი მყავდა ძმობილი, სახელი აღარ მახსოვს, მანდაური, ერთად ვსწავლობდით.
- რომელი, კოჭლი?
- არა კაცო, ხუმარაზე ამბობს ალბათ. კოჭლი ხო კაცი არ არის და არც ადრე იქნებოდა, ისა... იფიქრა, იფიქრა და რაკი უსუსტად უნდოდა დაგვენახა, გარისკა:
- ისა? უკაცრაული პასუხია და, - ჩემი შაყუი და შენი გამოყავიო, - ის კაცია.

აა! მიუხედავად, „უკაცრაული პასუხია და...“ უნდა ვთქვა ხოლმე, როცა რამე „უკაცრაულის“ თქმა დამეტირებდა. მობოდიშება პასუხიმგებლობას გხსნის. ანი ასე მოვიტყევი

- შენა ჰკითხოვლობ ხუმარას...
- სკოლაში კი პირგაკერილი იყო...
- ეხლა მეხუმარეა. ეტყობა იქ აიღილოვა.
- ჩემი ძმობილი იყო, სხვებს ვერა ხდებოდა. მე რომ დამინახავდა, შინ ეგონა თავი.
- ჰოოდა, შენგან აუღილოვებია.
- ძალიან გავიხარებდი, რომ მენახა. - ესია მოვინათ:

- აი, როგორ ებმის საქმე საქმესა! ვერ გეუბნებოდით, ჩვენს მძღოლს უნდა ჭალაში დადრუბული მურყნის ნარიყი შეაყაროს მანქანას და ერიდებოდა შენი. შენს ახვალს, ხუმარას ნახვას და ჩამოსვლას, ერთი საათი მაინც დაჭირდება, თუ გამასპინძლება მოგინდომა, აქ გამასპინძლოს, - ბიჭებო, უთხრობი.

ჭკუაში დამიჯდა, ჩამოვხტი მანქანიდან და გზას დავადექი. თავი რომ ავნიე, შემეშინდა, წინ მძიმე მთა მედო და იმის კლდიანი აღმართი უნდა გადამეღებოდა. რას ვიზამდი, წარმოვიდგინე, რომ ყინვარსა ვკიბოდე, რომელიც უღმობელი მზით ფიცხედებოდა ყოველწლიურად.

დიდძალი ოფლი დავვვარე, რომ აყრილი დეკორაციებით სოფელი გამოჩნდა. ბუდად, წინ დედაკაცი მიდიოდა, ავეძრახე. შემობრუნდა, ხელი მოიწიდა, ვერ მიცნო. შემეშინდა, არ დავეკარგო-

მეთქი, ვგრძნობდი, საიდანმე დუმილით დახუთული ძალი გამომივარდებოდა.

- აბა, გამარჯვებთ! ხუმარაშვილის ნახვა მინდა...
- ნავიდეთ, ჩვენს ქვემო სახლია.

ვიარეთ, ვიარეთ და შევედით ეზოში. პატარა ტაბლის გვერდით ვილაც კაცი გდია ბალახზე მკვდრად და სძინავს. დახედა ქალმა, მიმართა მიცვალებულივით, „აბეჩა, სიმთვრალის მეტ კაცობა კი არ მოგეხელება.“

- მკვდარი კაცი როგორ გაკარგდება ხოლმე, არა? - გამოიღმა დასტურად და უმალ მოვეშინაურდით.

- ხო გაგიგია, ქალის შეთვლილი კაცისთვის: „სახორხე ლაგამი მინდა, შენ ვერ დამიჭერ თავსაო...“ მაგის დედაკაცი შვილთან არის ნაშაგებული.

- აბა, მაგას ვინ უტკობს ლოგინს?
- არც არავინ... სასმელი...

ხომ ვთქვი, დედამინაზე სათაგურისხელა სოფელშიც იგივე ხდება, რაც სამხეცისხელა ქალაქში.

იციტ, ხუმარაშვილი მკვდარი ყოფილა, მთვრალი რომ გვეგონა, თავზე რომ ვედექით და ვტატყანებდით.

გამოხაცილა ცოტათი ქალმა, მხიარულად დავეშორდით, ამბავი დავუტოვე, გადასაცემი, დავეშვი თავქვეზე და მშვიდობიანად ჩავივსეკე.

დავსხედით მერე შეშადადებულ მანქანაზე, ვიარეთ, მომიყვენ ხუმარას ნაოინარები... ჩვენი მონაფეობა დამიდგა თვალწინ.

მკვდართან, როგორც ცოცხალთან არასოდეს ვყოფილვარ. რომ გავიგე ხუმარას ამბავი, ხანგრძლივად დამიმძიმდა გუნება. შესანდობარის სათქმელადაც დავეუფხე ხალხს. რომ მოვიდნენ და მოგროვდნენ და შევხედე ყველას, რაღაცა მიუხვედრელმა შემაკითო. გამახსენდა, რომ

მანქანის ძარაზეც ასეთივე მიუხვედრელი ვიგრძენი: თითქოს ყველა რაღაცნაირად თეატრალურად იყო სახეზე ფერდადებული. ყველა ნამდვილი იყო, მაგრამ არაბუნებრივად გადააპკული. რომ იციონოდნენ, არ გაეხათ პირი, სახე არ დაებზაროთ-მეთქი, მეფიქრებოდა. თითქოს სუქტაკლს თამაშობდნენ და რომ მორჩებოდნენ, ნავიოდნენ და სადაც სხვაგან სახეს დაიბრუნებდნენ: ჩააბარებდნენ ნახმარ ნიღბებს, გრიმს, აიღებდნენ თავისსან, გაიღიმებდნენ, „მადლობო!“ ეტყოდნენ და გაქრებოდნენ.

ვფიქრობდი: სადაც სათაგურისხელა სოფელშიც ის ხდება, რაც სამხეცისხელა ქალაქში, სადაც შეიძლება, ცოცხალთან გეგონოს თავი და მკვდართან იყო, სადაც ვაგინებდავს და გამოვინებდავს და ბევრიც გინახავს, სადაც, მანქანის ძარაზე ვილაცაზე გაგფიქრებდა იმის თვალებით, რომ ეს კაცი ამ ზამთარს ვერ გაატანს, სადაც პროვოცირებულ ხარ ლამის პაერში გაბმული ლოზუნგით:

იციტ, რომ ჩვენ პლანეტა X-ის საჩქიო ვართ?!

რატომ არ უნდა დაადგე იმ გზას, რომელზეც გიყი დადის მხოლოდ და არც ერთი სხვა სულიერი.

სულის მკითხავი

მოკლედ, რაკი ეს მოწოდება ტანში შემვიცედა, რაკი ასეთი აზრი ავიპლუგე, ვეღარ მოვიწყენე. გადავწყვიტე, ჩემთვის რუნებრივი ხერხებით ამ შემონათვალის ავტორის სული მომენახა.

მოენახე „მესმინაე“, გაუჭირდა თავის გამჭვლე- ნება, მაგრამ პატიოსნად მითხრა, რომ მსგავსი რამ, არც ხიდის-ყურში, არც ველზე არ მოუსმენია.

მკითხავთანაც ვიყავი, ძველ, სანდო ნაცნობ- თან, მითხრა, ეგ სულის მკითხავის საქმეაო, მიგას- ნავლიო, მაგრამ ვერ ივლი, მუხლი არ გეყოფაო...

- შენ დღონდ მიმასწავლე-მეთქი!

ქება დაუნყოფი. „ეგ ისე ვადის სულელებში, როგორც ჩვენ გზაზეო, აემ ხეობის ხალხისა, აემ ჩენი ხატების ყმებისა სულ იცის, ვის რა დღე-ბედი უწერიაო. მაგან თუ ჩაიხედო თასში, მთელ ქვეყანას მაიხილავს, როგორც შენ შენს თაროებსაო... კიდევ სომ, ბიჭოო? ჰიჰი, მა რას იზამ ამ უკულმართობა- ში...“

ავხედე მთას, სადაც უნდა ავსულიყავი. გული შემეძლია, უმწეობის სულმა შემეძიკრო. თავქვე დაშვებული წყალ-ნევიმების ნალვარევი იყო მთელი კვალი გზისაცა და მგზავრისაც.

დავჯექი კუნელის ძირში, ჩამოვემხე მუხლებზე და თავი ხელებით დავიჭირე.

თავისით დამძვრა ცრემლიც და სიტყვაც.

„ვაი, ჩემო თავო, საყვავყორზე ხარ, შენ გზაზე რა გინდა. შენ ხო არაფერში სტანინხარ, არც კარგში და არც აუშში! აბა, გაუშვი მაგ თავს ხელები და გა- დამოშალე: აბა, ცალში სიბერე ამოგივიდა, ცალში - სიღარიბე. მაგვემით რას ეპირები! რასაც ფექობ, ანა იმოდენა შეძლება გაქვს? იმის შეასვდი! მკედრეთანა ხარ გართული, აბა, გაიხსენე, ცოცხალ- ირდის გესიზმრა ბოლოს?“

წერა ძალიან კემსავს კაცს, ძველ პერანგში მე- ტი ციცი პალირი გადი-გამოდის. ეწვეი, სვამ, სიხაშმე გექნება.

ქალი ვერ გინცობს ფეხს და, კაცი, სულ სხვაგა- ნა ხარ.

რო აღარც კვდები! იქნებ ჯერ დღე არა გაქვს გათავებული, იქნებ კიდევ დაგჩნა სიცოცხლე და ხარის ფაშვივით უნ- და ათირი ნელზე გამობმული.

ამდენი საიდუმლოა გარეთ და ერთიც კი არაა შენი. არავინ არ ინახავს შენში არაფერს.

არც საქმეში უნდხართ, არც სძაში.

ხელებში თავჩარგული მათრახის ტკაცანმა გა- მომაფხიზლა. ვენაცვალე იმის ძალას, წმინდა გი- ორგის სული იყო. „აგე, იმ მუხას შემოეხვიე მთელი ტანით და ვერე იყავ ასის დათვლიალო, ვი!“

ვაი, რა ძნელი დასათვლელიაო, ვიფიქრე, ისე ვიყავ უძღურების სულით ძლეული, საქმეს კი გუ- ლიანად შევუდევი.

ნახევი თვლაზეც არ ვიყავ, რომ სიმსუბუქე ვიგრძენე, გვარონება ძველი ნადგამი გამელვარა ტა- ნიდან. ძლიერ ფესვებიან ზროდ მექცა სხეული, გავ-

მკერივდი, მუხლებში რკინა ჩამელვარა და მიეხვდი, რომ მგზავრი შევიქენე.

მთელი ხეობა ხელისგულივით წინ მედო. დამი- ჯერებო? პირველად შეეჭრდი და ისიც იმიტომ, რომ ქვემოთ გადაშლილი გარემო მენახა.

რაიმე რომ მომეხსენება, ახალგაზრდები მახსენ- დება, ვფიქრობ, როდის დაქვრებათ ენოუზიაზში.

ასეთი სალი არ ვყოფილვარ. უკვე ნასოფლარში ვიყავი და მწყინდა, რომ შეჩვეული და შეგუებული მივიდიოდი, თითქოს უცხო სასაფლაოს გზაზე.

როგორ უნდა ცხოვრობდეს აქ ადამიანი, ან რა ძალა უნდა ჰქონდეს, ან რა სული...

როგორც ხდება ასეთ გარემოში, მოულოდნე- ლად სულის მკითხავის ეზო-კარში აღმოჩნდი. ერთ საკვირვლის მეორე დამამატა: თითქოს მელოდაო, გრძელ თხლის ფოხს ჩამოვიდნობოდა და ერთმა- ნეთს რომ შეეხედეთ, დაამთქნარა. კარგად მენიშ- ნა. მოქნარება მკითხავისთვის პოზიტიურის კარია: სჩანს, მიმიღო იმისმა სულმა.

„აბა, მოდი, მოდი... მითხარ, რა ამბავია!“ ვუამ- ბე ყველაფერი, ძალიან გავენდე. წინ დამისვა, საქ- მის შეუდგა: ვერცხლის ბარძიმი, დანა, კოჭის ძაფი, ნახშირი და ურდის მძივები ხელოვნებით გამოყვა- ნილ დაბალ მაგიდაზე დაალაგა. ხომ ვინახავთ, ხე- ლოსანი თავისი იარაღებთან ურთიერთობით გან- სხვავდება სხვა ხელოსნისგან და ამით მეტ იმედს გიცივებს...

ვერცხლის ბარძიმში აბუდელაურის ტბის წმინ- და წყალი ჩაასხა და ადროვა დამშვიდება. თუ გრძნობდა ნეტა, რომ წმინდა გიორგის მაღლით ვი- ყავ მოსული? თასში წყალმა ლიბრიკით აპკი ვიდა- ილა. მესულთანემ აიღო ნახშირის კვინი, თითოთ აპკი ჩააჩერეტინა და წყალში ჩაძირა.

წყალმა ისევ შეიკრა პირი. არ უშველა ნახშირ- მა. მითხარ, „ბინილოდან ერთი წვეთი სისხლი უნდა გამოვნიროო.“ მე დავხარე თავი ბარძიმზე, მესულ- თანემ გახურებული თითებით მომისრისა ბინილო და თასისკენ ჩაუშვირა. „წყაა...“ და ჩემი სისხლის წვეთი ჩაავრდა წყალში. წყალმა თითქოს მოლუშუ- ლი შუბლი გაშალა, გალიაგა, დაინმინდა და მეხუ- მარეს სახე გამოჩნდა. გამიხარდა, ვუამბე ჩემი გა- საჭირი. მითხრა: „ჩვენთან ზის, არ ციცი, როგორ და რას დავითანხმებ, ეგ ამბავი ძალიან საიდუმლოა.“

- პირიქით, ძმაო, სწორედ ეგ არ უნდა იყოს საი- დუმლო, ეგ ყველამ უნდა იცოდეს, ძმაო... ამ სიტყ- ვებს უკვე თასში ამღვრეულ წყალს ვეუბნებოდი.

სულის მკითხავმა დედობრივად დამამდო ხელი ხელზე. ჩვეულებრივი სიტბოს თითები ჰქონდა. ერ- თი კი ვკითხე შიშით, „ხუმარაშვილი ცოტა ხნის მკვდარია და...“ ველარ გავავრძელე სათქმელი, რად- გან სიტყვებით თითქოს დავკარგე. „რა არის ცოტა ხანი? ხანი ერთია.“

ნამოვედი. ვიცოდი, რომ წმინდად უნდა შეემნა- ხა თავი, არაფერში არ უნდა შეერეულიყავი და სიზ- მარს დაელოდებოდი.

მეგონა მღელვარება არ დამაძინებდა, მაგრამ წმინდა გიორგის დობილმა ანგელოზებმა ძილქში მომგვარეს.

მონოდება დედამიწისთვის

ეს არის მონოდება დედამიწისთვის!
ეს არც ჯვარის დასმაა და არც განაჩენი.
ეს არის მონოდება დედამიწისთვის!

იცი, რომ ჩვენ პლანეტა X-ის საიქიო ვართ?!

მონოდება გააჩენს კითხვებს.
შეიძლებაოდა მათზე პასუხის გაცემა,
შეიძლებაოდა განმარტება.
დედამიწა ცნობისმოყვარეა:
- არაა საკვირველ!

აღბათ პირველი კითხვა იქნებოდა:
- რომელი პლანეტის?
რომ ვცდუნებულყავით და განმარტება რომ
დაგვეწერა,
დედამიწაზე პასუხების კორიანტელი
დატრიადებოდა.

ასეთი ტრადიციაა დედამიწაზე,
კითხვებზე მეტად უყვართ პასუხები.

უმთავრესზე - დუმილი.
უმნიშვნელოზე - პასუხი.

დუმან - სულზე!
აღარ აინტერესებთ ადამიანის ბედი,
როცა კარს გაიხურავს და ნავა მათგან.
წავავენ, მარხავენ,
მინისა და ცის ფრინველ-ცხოველებს უგდებენ.

შეიძლებაოდა ასი სიტყვის დაწერა
და ასი გვერდი პასუხებისა.

მაგრამ ერთსაც არ დავწერთ!
დაე, ეს მონოდება ეკიდოს თქვენს ცაზე,
თოვლში, ყინვაში, წვიმაში, ქარში,
დაე გახუნდეს და დაიფლითოს საუკუნეებში.

თქვენს პირს უნდა ეთქვა ასეთი მონოდება,
მაგრამ ადამიანის სიკვდილი ისე გახარებთ,
თითქოს მისი დღეები თქვენ გემატებოდეთ.

და რატომ იფიქრებთ საიქიოზე?
რატომ იფიქრებთ სულზე,
რომელიც ნამცეცის ნამცეცია ადამიანში.
თქვენ კი ნამცეცი გეჯავრებათ!
მოიცადეთ! დაგიდგებათ დრო,
როცა თქვენი მაგიდის ნამცეცი გერჩინებათ
მთელ საიქიოს!

უთვალავი საუკუნეა, რაც ადამიანი დედამიწაზე,
უთვალავჯერ გამოიცვალა.
უთვალავი საუკუნეა, რაც ოთხფეხი პირუტყვი
დედამიწაზეა,

ერთხელაც არ გამოიცვალა:
ძოვს და ნადირობს.
უთვალავი საუკუნეა, ადამიანი არბევს დედამიწას!

უთვალავი საუკუნეა, ადამიანი სვამს კითხვებს,
რომელიც მას არ შეესაბამება
და პასუხობს, რაც შეესაბამება.

უთვალავი საუკუნეა,
ადამიანს ჩამოუყალიბდა მთავარი კითხვებისთვის
გვერდის ავლის ჩვევა:
- ვინა ვარ? - საიდან ვარ? - რისთვის ვარ?
- როგორია ჩემი მომავალი?

უთვალავი საუკუნეა, ადამიანი ელოლიავება თავს,
მაგრამ მხოლოდ ის დაამტკიცა,
რომ სძულს თავის თავი.
ეჯავრება წარსული და არ ენაღვლება მომავალი

უთვალავი საუკუნეა, მკედარი მკედარს მარხავს
და არაფერი იცის ცოცხალზე.
უთვალავი საუკუნეა, მკედარს მკედარს მარხავს
და აგზავნის შიშველს უმისამართოდ.
უთვალავი საუკუნეა, ადამიანმა არ იცის სული,
უთვალავი საუკუნეა, ადამიანმა არ იცის საიქიო.
უთვალავი საუკუნეა, ადამიანი თავს იკლავს,
მაგრამ იცავს თავის უღირსობას.

მინანერი

ეს ნანერი არ არის ჩემი. იგი მეკარნახა 25 თე-
ბერვალს, დილის 4 საათზე:
ხელი წამკრა ძ ა ლ ა მ, გამომოდვიძა და ეს სიტყ-
ვა დამადო ბავზე.
- მაღლობა, ღმერთო, შენი ძალისთვის!

მე უამრავი მეგობარი და ნაცნობ-უცნობი მყავს
მთელ დედამიწაზე, ღია ბარათებით მინდა დავუგ-
ზავნო ეს მონოდება. და, რაკი ასი ჰექტარიტაც რომ
შევეფუთო, ერთი იქნება, ღია ბარათები ვარჩიე.
მოვგროვე კაცობრიული ისტორიულ-კულტუ-
რული მიღწევები და იმ ღია ბარათებზე მიმოვფან-
ტე, როგორც - „ადამიანის ნარჩენი ღია ბარათზე!“

დავგზავნე ყველგან და უკანა მისამართად ჩემი
ფამსა შინა შერქმეული მეტსახელები, ანუ თიკუნე-
ბი მივანერე.
ამ მეტსახელებიდან, რომლებსაც მთელი ცხოვ-
რება მაკერებდნენ, ბევრი წლებმა ამყარა. ბევრი
გახუნდა და აღარ იკითხება. მაგრამ, რაც ვადამ-
რჩა, ისიც საკმარისია, რომ ადრესატს მიაგნონ.

მთისძირა სოფელი - ქალაქი - დედამიწა
(პლანეტა X-ის საიქიო), ვინიცობაა, იქიდანაც
რომ მოინერონ.

მასუკან, მთელი დღე რომ ვჩიჩქნე მინა დამუნ-
ჯებულმა, მაგრა რომ დავიღალე, მაგრამ არ დამი-
წუნუნია, რომ, ემანდ, „ამინას“ არ ჩამოველო და
„ამინ“! არ დავცა ჩემი წუნუნისთვის, პირიქით, თა-

ვად შევულოცე თავს: „მართალია, დაილაღე, მაგრამ დაისვენებ, საქმე კი გაკეთებული გექნება. გაგიხარდება.“

მართლაც, რამდენი ხანია, ღამის დარაჯივით ვფხიზლობ ნერისგან.

გამახსენდა ეს მზეგადასულზე. ვივახშმე ბრმა კატასავით და დამეხეი. დავილურსმენე თავი ლოგინში. ჭაღიდან წამოსულ ვიწროს ყროყინაც კი არ შევურსვლევია.

ღამის ოთხ საათზე მანაც გამეღვიძა. რომელი რიცხვი იყო არ გამხსენებია, რადგან ჩემი სკოლის მეგობრის სული იყო, ვინც გამომეცხადა. ვუთხარ, როგორც ანგარსში ჩააბარო შუამავალს: „ღვთაგზავე „მონოდება“ მთელ დედამიწაზე-მეთქი...“

რატომ დგანან გარდაცვლილები მუდამ შენზე უფროს ასაკში?

იცოდა ხუმარაშვილმა ჩემი ამბები, როგორც სარკეში და არა ჭოროში, მითხრა, ცოდვენი გავიზიაროთო. სამ-სამჯერ მოვიციდეთ ზურგზე ერთმანეთი, როგორც წესია და... გაქრა ჰაერში. იატაკსადა დაგაჩრდი, სადაც ფეხი ედგა.

ერთ ღარი საიქითვის

დედამინის ხალხებო! ღმერთს არ უბრძანებია, მე ვებრძანე თავს, გახაროთ, რასაც გული მირეკს. მე მინდა გთხოვოთ, რომ თვითელმა მიცვალებულის სულის პატრონმა, თქვენი ქვეყნების ფულის კურსის მიხედვით, თითო ლეკბა შეწიროთ საიქითს კვლევის საქმეს.

არიან ადამიანები დედამინის მიყრუებულ თუ მალღვანეთარებულ მხარეებში, ქოხებში და ცათამბჯენებში,

ვინც სხვადასხვა უნარით, განათლებით თუ უპიკობით, მაგრამ არაბუნებრივი ნიჭით არიან

დაჯილდოვებულნი და მათი გაერთიანება ერთი აზრისთვის უკვე საკაცობრივო გამარჯვებაა.

ჩვენ ადამიანობის რწმენით უნდა აღვივსოთ.

კაცი ქვევრს წმენდს, რომ ახალი ღვინო ჩაასხას. მგელი ბუნაგს ასუფთავებს, რომ ძუმ ლეკვები დაყაროს.

ჩვენც უნდა გავწმინდოთ დედამიწა ძველი ჩვეებისგან და ადამიანობის რწმენით აღვაგსოთ.

გარექვეული ტალავარი

მკითხველს თავისი ენით უნდა ელაპარაკო, არა შენითა! თანახმა ვარ. მკითხველო, შენითა და არა

ჩემითა:

გარექვეული ნიშნავს, შიდა პირით გარეთ როა, ბენეგარეთა როა, ისეთ ტალავარს, ტალავარი - ტანისგან. მავალად, მე დედალი, ჯიხე-შუნის ტყანის გარექვეული ტალავარი მაცვია, „თხისტყავიანს“ ვერ დამიძახებ. იშვიათად კი ვიცვამ, - საამაყოდ, რადგან სამასი წლისაა და ბევრი პაერი და ადამიანის თვალი მისთვის მომზამვლელია. თან, მეც, წლეულ 175 წლისა ვხვდები და 17, 5-ჯერაც არ ვყოფილვარ ამაყი. მაგრამ არც ის მომზონს რომ ამბობენ ჩემზე: „არ იცის ამპარტივინობა, ძველს იცვამს ტალავარსაო...“ სინამდვილეში, წუთისოფლის-შვილები მხოლოდ ამპარტივინებს სცემენ პატივს, და, ვინ იცის იქნებ დაბრიყვებაც დამიწყონ.

„ათათა!“ - შეუფახებ, „თხისტყავიანად“ სასწრაფოდ ქვეული, დავერევი კომპლით, ქუდეგს ავეყრი თავიდან. ივლიან მერე საკლავითა და ქადაპურის ზღვინით ჩემი სახის კარზე...

როგორ გამოვიარე ცხოვრება? აი, ასე... გამოვტოვე ჩქაფურე-ჩქაფურე.

ხან ბავშვი ვიყავ, ხან ახალგაზრდა, ხან შუახნის, ხან იმ ხნის, როცა უკვე დაინახავ ნაპირს, ახვალ, დადგები მიწაზე და სახელს არ იკითხავ, რადგან გაგიგია, რომ სიბერე ჰქვია.

ახლა როგორ უნდა იცხოვრო? ათასი რამ მსმენია სიბერეზე, ათასი ვარიანტია, ათასი სიცრუე... გიკვირს, - ისევე?! - ტყუილი სამარის კარამდე?

ამიტომ ვადაგწყვიტე: ისე ვიცხოვრებ, როგორც მიცხოვრა. მიშობა, მცილობ, გზას ვეკლები. მაძლარიც ვიყავ, კიდევაც მთბილოდა, სიხარულის მიზეზიც მქონდა ხოლმე. შორიდან ჭკუაც მხილავდა და სიბრძნეც, მაგრამ ფარულად მიხაროდა, რომ თავისუფალი ვიყავ მათგან და თამაში და სისულელე არ შემარცხვნიდა. საერთოდ, ჩემს გულს არაფრისკენ გაუნევი, რაც მე არ მეკუთვნოდა და თვითონ არ ვიყავი. მიმარნდა, რომ გარშემო ყველაფერი ისეთი იყო, როგორიც უნდა ყოფილიყო და მე - ისეთი, როგორც ვიყავი. სიმდიდრე, ქონება, საზოგადოებრივი და სოციალური მდგომარეობა და მათი პატრონები და როლის შემსრულებლები, ისეთები უნდა ყოფილიყვნენ, როგორებიც იყვნენ. მე მათგან თავდაცვა უფრო იოლად შემეძლო, ვიდრე მათი როლების შესრულება.

არასოდეს არ მიფიქრია თავისუფლებაზე. ვცდილობდი, ის გამოემეყნებინა, რაც ჩემს ხელთ იყო. მგონი, ყველა ნორმალური პატიმარი ეჩრდება ისეთ ახირებას, რაც ვააგიყებს, რადგან მის ძალებს სწორედ ამ ნიშნით აღემატება.

ერთხელ, ერთ ასაკით, ღვანლით და თანამდებობრივად დანიშნულებულ კაცს, სიმთვრალეში მოუნდა ჩემი მოალერსება: „როგორ ახერხებ ასეთ კარგ ცხოვრებასო?“ - კი არ მკითხა, ფარულად შემაქო. მე, საერთოდ არა ვარ სიტყვადონსრებული, მაგრამ მაშინ ზუსტად და სახრტად ვუპასუხე: „მხოლოდ ადამიანური პრობლემები მაქვს-მეთქი.“ ის კაცი ელდანაკრავივით შეტრიალდა, ეგონათ, სანყენი რამ ხომ არ ვუთხარი. ისეთ იერარქიამ ტრიალებდა, სადაც ყველაფერში, უპირატესად, ორან-

როვნებას ექებდნენ, რადგან გავრცელებული იყო ცრურწმენა ნათქვამის ფატალურ შედეგზე.

დასასრულ, ვიტყვი: ბავშვი რომ ვიყავი, 8-10-ისა, დილით მარცხნივ, მარჯვნივ, ძალი მოდიოდა თუ კაცი, თუ არავინ... ვარჩევდი... და გზას დავადგებოდი. ჩემს ასაკებში ყველაზე უფრო იმ დროს ვცემ პატივს.

ისე ვიციხოვრებ დარჩენილ დროსაც.

ახლა, მაგალითად, ადამიანი ვარ, მეტნაკლები სიზუსტით, მაგრამ რაც ვიღვიძებ საერთოდ ხოლმე, იმის რაობაზე, სადაურობაზე და ვინაობაზე თავს ვერ დავდე. თვალის გახელიდანვე, თუ სიზმრისაგან არა ვარ საწარმოიდან ნიხურული და პირობითად იატაკზე გამშლართული, ადამიანის განვითარების ყველა სტადიას გავდივარ. ყველაფერი იწყება აბლაბუდათი, რომელშიც მწყვედეულია პატარა მე-ატომი და ცდილობს დასხლტეს, გაიშალოს, დაიფიქსიროს თავი და კანონებს მიეცეს. ამ ჩანასახობრივ მდგომარეობაში, ის, სრულიად სიუვიციტით, ვერავითარ საინტერესოს ვერ პოულობს, იბურცება აბლაბუდიდან და ვაივავაბილთ გუშინ და გუშინწინ უარყოფილ სინამდვილეში გამოდის.

შესაძლოა ერთი ხალმისთვის, რომელიც მოხდება ოდესმე.

შესაძლოა ერთი წამისთვის, რომელსაც ვერ შეიპყრობს - როგორც გუშინ, როგორც გუშინწინ.

შესაძლოა ღირს კიდევაც ამისთვის ვალვიძება, შესაძლოა სხვა შეხვედრას და სხვა წამს ამით ვუთანაბრდები. შესაძლოა ამას გრძნობს აბლაბუდაში მწყვედეული მე-ატომი და ამისთვის იბრძვის.

შესაძლოა ის მიჯაჭვული გმირს ათავისუფლებს, შესაძლოა, მხოლოდ კარი უნდა გაულოს, შესაძლოა, თვითონ მისგან გარბის გმირი. აბა სხვა რისთვის, თუ არა გმირის გაქცევაში მოწინავეობისთვის იღებს ის ამდენ კეთილგანწყობილ გამოხედვას, ღიმილს, საუზმეს, ვახშამს...

სიმართლე რომ ვთქვა, როგორც მე ვარ პატივდებული სიზმრებისგან, ისე ისინი ჩემგან - საცერს ავიფარებ ხოლმე თვალეზზე და გაგებდავ: - როგორც თქვენ მხედავთ, ისე მე გხედავთ-მეთქი, და, კარს მივუხრავ, - როგორ და რითი, რა მნიშვნელობა აქვს.

სანიხანარმეტყველო მე არაფერი მჭირს, განსაჭვრეტი და გამოსაცნობი მე არაფერი მაქვს, რას უნდა ვთხოვდე სიზმარს? მაქსიმუმ, ერთი ფარდავის სიუყუტს!

ეს - მე, მაგრამ იქნებ სიზმრების დედა ჩემზე მწარედა სტირისა?

რა უნდა უნდოდეს ადამიანისგან სიზმარს? ისინი ხომ მდგმურები არ არიან ერთმანეთისთვის, არც ნათესავები და არც შეყვარებულები...

ვთქვათ, იცის ადამიანმა, რა უნდა სიზმრისაგან, - რა უნდა სიზმარს ადამიანისგან?

უფრო ადვილი დასასმელია კითხვა, რომელსაც პასუხი არა აქვს. ვინც იკითხავს, ის თავს ჩაჰკიდებს უხმოდ, იცის რასაც დღეს პასუხი არა აქვს, აქტიურია ამიტომ და ოდესმე უთუოდ ექნება... რო-

გორც, მაგალითად კომპიუტერი და მაგია, კომპიუტერი და სინათლის წყარო... ესენი ადამიანის შესაძლებლობებს ზღუდავენ, კომპიუტერს არც მაგია და არც სინათლის წყარო არ უნდა სჭირდებოდეს, ის უნდა ბრუნავდეს თავისუფალი ადამიანის გარშემო, ხოლო ადამიანმა კი იფრიოს თავში. ადამიანის აზრი უფრო სწრაფია, ვიდრე ფანქარი, კალამი, საბეჭდი მანქანა, ისინი იშვიათად მიდიან ერთად ფინიშთან. ადამიანის აზრი უფრო სწრაფია ვიდრე არის მისი გამოხატვის საშუალება, მეტიც, ამ ინსტრუმენტებმა ტემპი დაუკარგეს აზრს, აზრი იძულებულია, ფეხი შეანელოს, წამი იძულებულია წუთად იქცეს, რამდენი რამ იკარგება! ადამიანის აზრს არავითარი ფიზიკური დაბრკოლება არ უნდა ჰქონდეს, შესაძლოა, სულიც იხილოს!

ესაა ფარდობითობა: აზრის მასა, პლიუს, გამოხატვის საშუალების სისწრაფე - კუმბი.

დავუშვათ, ვწერ და ვკვებდი სიცილით, ისე ვიცი, რომ შემოიხედვენ შესამომნებლად... მე კი ვერთობი! თითები რომ მქონდეს მოცლით და ტანიც სკამიდან ზეანული, მაშინ ნახავდით თქვენ კონცერტს, ისეთს, როგორიც საყვირისა გინახავთ. ყვავები უფრო სწრაფად გამოიფრინდებიან ხოლმე ზარბაზნიდან, ვიდრე ადამიანის პირი იტყვის სათქმელს და ხელი ასოს დასმას მოასწრებს. კომპიუტერი უნდა გვეცვას, გვეხუროს, ჩვენთან დადიოდეს, ჩვენით სუნთქავდეს. ის უნდა იყოს შეერთებული ჩვენი სხეულის ენერგიაზე, ჩვენი აზრზე და ტვინის სკაზე, - შესაძლოა სულიც ვიხილოთ.

იქნებ აზრი ჰაერში უნდა იკრიბებოდეს და არა ფურცელზე? იქნება უნდა დაფრინავდეს და არ იღოს?

მომეცით მე საშუალება და სულს აღმოვჩენი! სული მომცემს ახალ ადამიანს. მიუყუყვან ადამიანს ღმერთს და ვეტყვი:

- აი, იხილე!... და გამეზავნის მე ღმერთი სულეების საუფლოში, და, შეიძლება მადლიც გამოვიტოხოვო ადამიანისთვის, რომ სულეებმა ზეპირ იარონ ადამიანებთან, ვთქვათ, როგორც ჩემს წინა წიგნში ქალმშვენიერი ციურის სუნამოთა სუნი ლიფტით იარებოდა ასხუთ სართულზე და თვითონ არ ჩანდა. რა ვიცი მე, ულიფტოდაც ნელანდელი მე თვითონ აღარ ვარ.

ტყიან გზაზე, მდინარის გაყოლებით

მოდით, ვიხილოთ ერთ მიყრუებულ სოფელში, ქვით ნაგებ ლამაზ ორსართულიან სახლში თავის ნებით, თუ ვაგუნცობიერებდ ვარგულებათა მიზეზით მწყვედილი კაცი, რომელსაც ბავშვობისა და სიჭაბუკის მერე სოფელ ადგილას არ უცხოვრია, ვნახოთ, რასა იქმს, როგორ უმკლავდება სიმარტოვეს, როგორ ლეცს დღევებს და ღამეებს, როგორ აზავებს ნაცნობ-უცნობობას, დაემკვიდრება თუ ვერ დაემკვიდრება...

არც წყლის ნაკლებობაა, არც ტყე-ველის და ვარსკვლავიანი ზეცაც თითქოს ხელის აწვდენაზეა. გახსნილია ყველაფერი, გულგადაღელილი, არაფერი არც თავს გაურბის და არც შენ გემალემა, მაგრამ, აი, თითქოს რაღაც იდუმალის გამხელა, ერთ-ერთი პირველივე დილა უცნაურ სურათს გთავაზობს.

საქონლის მეტი რა მინახავს ცხოვრებაში, მი-თუმეტეს მსხვილფეხა, მაგრამ ასე დარჩეული ძროხების ნახირი არასადროს მახსოვს. ვეკონება პატარ-ძლები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს - თუ აგებულე-ბაში თუ ფერების სიუხვეში. საძოვრის გზას მიყვებოდნენ სოფლის გავლით. მაგრამ არ იკითხავთ მწყემსი ვინაა იყო? ერთი შარვალ-საწვიმრიანი ჯუ-ჯარუხი მგელი, რომელმაც არა მარტო საძოვრები, ტყე და ველი, წყალი და ჭალა იცოდა ზეპირად, პარ-ტიტურასავით, არამედ ყოველი ჩრდილი მათზე და ყველა კენჭი და ცვარისოღენა სიახლევ კი თვალში მიაჭყეტდა. - უჰუჰ! - შესძახებდა მისი გონება, გა-ნათღებოდა, გაერკვეოდა საგნის მნიშვნელობაში და ისევ დაიგმანებოდა.

ასე რომ მშვენიერი პატარძლების გუნდს ისევ ტრადიციული საჭურისი მწყემსავდა.

გამახსენდა ერთი ეთნოგრაფის ასი წლის წინ ნათქვამი - ამ კუთხის ხალხს თავისთავს საქონელი ურჩევნიაო. ეს ხალხიც სწორედ იმ ასი წლიდან იყო გადმოშტრონი. საქონელიც ისევე ჰყავდათ, როგორც მათ დარაჯად გამოზრდილი, ასევე საჭურისივით ერთგული ძაღლები, გამწვევ ძალად კი ხარების ნაც-ულად მანქანები და სახედრები. ხარს ამ სოფელში ვერ ნახავდენ, სახარე ხბოს სამ წლამდე, ან რაიმე შემატების ან რაიმე გადარჩენისთვის ხატს სალ-მროოდ უკლავდნენ..

მხოლოდ ამ კუთხის ძველი, დიდი მოლექსეების მიერ შექმნილი, სხარტი, არტისტული და ყველაფ-რის გამომხატველი ენა და პოეზიაა რის გამოც ჩემს თავს აქაურს ვეძახი. თვითონაც სხვადასხვა, მწე-ლად მისავალი სოფლებიდან არიან. აბორიგენი მო-სახლეობა გამქრალია.

ახალ მოსახლეს ეჭვით უყურებენ, ეზარებათ ნაბიჯის გადადგმაც, ასე, რომ ახალ მარტოხელას-თვის ხშირად ცის ცვარის ულუფაა გვამის სამცაო ლუქმა.

ერთს კი არა მარტო, საერთოდ ყოველგვარ სი-ახლეს უყურებენ ეჭვით, ამიტომ, არათუ დროს, იმ ხატოვან ენასაც არ შეესაბამებინ, რომელზეც მეტყ-ველებენ და რომ არ გრძნობდნენ, რომ ამ საქმეში იმათზე წინა ხარ, ყოველ სიტყვას ალბათ ოც თეთ-რად მოგყიდინდნენ, ყოველ ფრაზას კი ლარად. ყვე-ლას ჩემზე მეტი აქვს, ფულიც და ქონებაც, მაგრამ სულ ტირილში არიან. და განა ტყუიან: სურვილი და ამპარტყენება აქვთ იმხელა, რომ ვერ ენევიან, ამი-ტომაც იზიდავთ კატასტროფა, როგორც ხსნა. ამა-თი კატასტროფა კაცების ყოფის რიტმიდან ამო-ვარდნა და გაბმული სძაა. ერთი დაიწყებს, გააბამს და გადაგვარდება და რომ შედგება ამ მომენტში, სხვა აიტაცებს იმის ტალახში ნათრევ არსებობას და ცხოვრობენ ასე, უამიდან უამამდე. გამომგონებ-ლობის არავითარი უნარი არ გააჩნიათ, ყველაფე-

რი მხოლოდ უშუო კოპირებაა ბარში ნანახისა. მაგ-რამ სასახლე რომ მისცე, სოროდ აქცევენ, გაასუ-ბენ ხლამ-ხლუმით და თვითონ გარეთ დაუფდები-ან.. თონდათან მოვეუკელი მათთან ფიხვნობას და ბოლოს სულ გაგშორდი, როგორც ყმანვილობაში სოფელს.

რომ დავემკვიდრე ილუზიების გარეთ, მივხვდი, რომ თავისთავზე ფასი ამათ მე ავანევიანი, მივხვდი, რომ ასეთი გულუბრყვილობით ტურა-მელა-კატა-მგელშიც არანაკლებია საინტერესო და შეიტყო შე-იძლება კიდევაც თუ ტყავი გაუცვალებ.

ცდილობენ ლიტერატურული ენით ილაპარაკონ და გაუფერვობა გამოსდით, არაადეკვატურებია თა-ნამდინოვრე ენასთან, რადგან ერთს ფიქრობენ, თარ-გმინია, ნათლვენ და მეორეს ამბობენ, რადგან გულ-წრფელობა უცოდინრობა ჰგონიათ, ჭოჭმანობენ ჰოზე და არაზე, წვალობენ და იღმიჭებიან. ძველ-შიც უჭირთ, ბაიბურად მისდით, რომ დრო შეიცვა-ლა, მაგრამ ვერ იძვრია, გონებით და სულთ ისევ ძველში არიან, წარსული ყოფის მაგალითებს მის-დევენ, განა წარსულ კულტურას. ამიტომაც მათი ფრაზეოლოგია და ლექსიკა გატყარჭული და ხე-ლოვნური, როგორც სცენაზე გათამამებული მთი-ელის ყოფა და მეტყველება. ყოველი დიალექტი ამ-დიდრებს ენას, მაგრამ არც ერთი დიალექტი არ ვარგა ენად. ეს კარგად ჩანს სცენიდან მეტყველ-ებაში და ესენიც ხომ სულ სცენაზე არიან, განსა-კუთრებიან, თუ ერთი უცხო შეენსროთ. ენა ისე გა-ნუნწყეტლივ ახლდება, რომ ამის გამო ძველდება კიდევ.

რაც კი ჩამენერა, სულ ძველი ადამიანის ჭის წყალი აღმოჩნდა. როგორ უნდა განაზავა, რომ ახ-ლად შეისვას?

თუ იმედი გაქვს დაკარგული, რაღაც იმედი კი-დეა, მაგრამ თუ იმედი გაქვს, რაღა უნდა იყოს.

მე რომ ნული არ ვიყო და ყოველ დილა ნულიდან არ ვინწყებოდე...

აგე, დედამინა!
ნამო, ვიაროთ.
ენახავთ სიკეთეს, ენახავთ ბოროტებას,
უკან დავბრუნდებით.
ვიტყვი:

საძაგელი ვარ მე, საძაგელია ადამიანი, საძაგე-ლია დედამინა და მასზე ყოველი!

ნამო, კვლავ ვიაროთ.

აგე, დათვი!
სჩანს, კბილ-მყუნია, არ იცის რაზე იყაროს
ჯავრი,
სივრცე არ ყოფნის ტკივილისთვის, სალენად
გარემო.
ზედ გადადის ყველაფერზე, ჭიანჭველალა თუ
გადაურჩება.
მთელ ტყეში მარტო ტკივილია ამ დათვზე დი-

დი, რომელიც ნამცეცის ნამცეცია თავის წინაშე და მოუხელთებელი ჭინჭველასავით და მიაქანებს ზვავზე მეტი ძალით და გაურბის ტყეს,

თელავს ურჩოლველად, მიაბობს ძვალ-უძვლო წვრილიანს და მწვანე ფანჯრების ლანა-ლუნით გადის მზვარეში,

სადაც მზე დახვდება.
გალწნეს იმასაც ზიზღიან ჯუჯუშით:
- საძაგელი ვარ მე, საძაგელია დედამიწა,
საძაგელია მასზე ყოველი!

აგე ადამიანი!
თავს იმკვიდრებს სნეულებით, რადგან კარგად მყოფს ვერ იხაბსოვრებენ.
წევს და ფიქრობს და რუკაც გაუკრავს.
**თავი და ბოლო ადამიანისა:
შია თუ მადლარია, აქვს თუ არა აქვს.**

ბარაქალა მის ჭკუას! თუმცა, რალაც კი შემირცია.

მომგონდა: სტუმარს, სულ ერთია, ქალსა თუ კაცს, შორიდან თუ ახლოდან მოსულს, ბებიაჩემი, სკამს რომ დაუდგამდა, ცოტა ხანში გამასპინძლეობას შესთავაზებდა. ეტყობა ადგენდა, შიოდა თუ მადლარი იყო, რომ, გამორიცხვით, სტუმრობის მიზეზი შეეტყო.

მერე იმაზე ჩამოუფდებდა ლაპარაკს, რა გვქონდა და რა ვაკლდა სახლში - შუმა, მარილი, პური, მწნილი, სარეცხის საპონი...

„- ერთი კვირაა, ნემსი წაიღო ჩუჩუკურის ქალმა და არ მოუტანია!“

ისეთი სახით ეტყოდა, რომ სტუმარს მის მაგივრად გამოეთქვა ეჭვი:

„- ალბათ უნდა, რომ დაირჩინოს...“

არც ვალს დაუმაღავდა, არც რაიმეს ქონას, არც იმას, რის ყიდვას აპირებდა. გზამკვლევადა და მახედ ტყუილს არ იყენებდა. უბრალოდ, სიმართლევებს ისე ულაგებდა, რომ სტუმარს უბრძოლველად უკან ნაელო კარტი.

სოფელში ყველამ კარგად იცის, ვის რა აქვს სახლში, რომ ის თხოვოს და არა რაც თავში მოუჯლის...

თამაშის დასასრულს, აუცილებლად, რალაც-ვიღაცაზე იტყუნდენ რაიმეს, იცინებდნენ, შესაძლოა, გულიანადაც, და მათ შორის მორყეული კიბის ნაცვლად ბუსნო იგებოდა...

ახლანდელივით კი არ იყო, გუშინ, ფეხბურთის წინ, ვიკაცა ამერიკელი მხატვარი, - არა რაიტების საგვარეულოდა, არამედ ბედის მაძიებელი თავისთვის მონიშნულ ყრუ პროვინციებში, ფეხბურთის მოლოდინით გამოჭერილ ტელემაციურებზე რომ ჩავგონებდა: - ხვალ გამოფენას ვხსნი თქვენს წარმტაც ქალაქში, და, დარწმუნებული ვარ, დამთვალეირებლები ძალიან გაიხარებენო... მაღალკულტურულია თქვენი ქალაქი, ოცი წელია არსად გამოვფენილვარ და ამიტომ

მას მივანიჭე უპირატესობაო.

ასეთ კარტით ბებიაჩემი მოგებაზე არ იფიქრებდა.

ახლა სხვა დროა. ადამიანები გარესამყაროს უკეტავენ ფანჯრებს, რომ გამოიპრანჭონ და ისე გამოჩნდნენ. ვინ გადადგამს ნაბიჯს, რამე რომ არ მოივს, ვინ არ გამოსვდება მუქთა სუფრაზე. ეს იმის პასუხია, წინა საუკუნეებში კაცობრიობის ჭკუისსწავლებას რომ ცდილობდნენ გაუცინარ სახით და მშვიერი მუცლით! ისე გიყურებდნენ ნახატი პორტრეტებიდან, გეგონება შენი ბრალიც იყო.

აგე, ახლა: დგანან, სხედან, მადლრებია ტელე-შოუში,

სიცილით სკამის ზურგებს ასკდებიან, აბა აწინდეს ვინმე მწერალი სახით, ხალისს შეიძენენ და უფრომც იცინებენ.

იტყვი:
- საძაგელი ვარ მე, საძაგელია ადამიანი!
ადგილი არ გეყოფა.
ჰყვებიან „ვითომს“ როგორც „ნამდვილს“, „არა იყოს“, როგორც რომ „იყოს.“

იცინიან... იცინიან... რა ჭქნათ, ჩვენც ვიცინითო? რომ ვიტყვით, რამეს დავაგნებენ! უნდა ვიცინითო.

სიცილი ჩვენი დროის სტიქიაა, ეტყობა, ადამიანს მეტი ინფორმაცია აქვს საკუთარ თავზე, ვიდრე ჩვენი ცოდნა ან ვიდრე იყო... სიცილით გამოვეყენებ ადამიანი ბუნებას, რომელსაც სხვა ვერაფერი შემატა. - აგე, დგანან და იცინიან! უდავოდ ერთი სიცილ-ხახანი; კერძი სახის დანახვაზე უფრო იცინიან, მოწყენილი ისეა, როგორც სიკვდილმისჯილი.

მიდმორობა

დილავე თენდი, დილავე თენდი, დილავე, რად არ გათენდები, ამდენ მიდმორობაშია, მგელო, რად არ დაღებდები?

ზამთრის მოკლე დღეებში და გრძელ ღამეებში, კაცისთვის, რომელსაც გვერდით არც ერთი სულიერი არა ჰყავს, - ადამიანი, ძალდი, კატა... ძროხა გომურში და საქათმეში

ქათამი, რომ იზრუნოს ამ ვილაყეებისთვის და თავის გარე ნივთთავან

გავრთოს... კაცი, რომლის გვერდით ერთადერთი ცოცხალი არსება -

ბუზრის ცეცხლია... ფიქრები მისთვის ნამდვილი ობობას ქსელია, რომ ინადიროს.

თუ ბუზარში ანთია ცეცხლი, კაცი მრავალია. უყურებენ, უსმენენ, ყველაფერს თითქოს ცეცხლად გამოცდის და მშვიდად იღამებს, -იცის,

ცეცხლი კაცს უშემურისგან იცავს.

მრავალს უცხოვრია ასე, მრავალი ყოფილა მართო, მრავალს უგრძნია სიხარული, რომ გათენებას

ვირსა... შესაძლოა, არ არის საუკეთესო ხედვრი, შესაძლოა, არც შესაფერი გამოცდაა, მაგრამ, დეე, ეს იყოს ბოლო ლოზუნგი, - რომ მხოლოდ ახალი მდგომარებით შობ ახალ გრძნობას.

ყველა ცხოველი როდი იცოხნება, რომელთაგანაცა ნასესხები ადამიანი. კაცი იცოხნება თავის გუშინდელს, შარშანდელს, წარსულს, უფრო მეტს იცოხნება, ვიდრე პირუტყვი, რომელიც იცოხნება მხოლოდ დღევანდელს. ადამიანი კი გრძედდება თავის ცოხნაში ოთხივ მიმართულებით, და:

- სადამდე უნდა გაგრძელდე, ადამიანო!

რატომ არ შევიძლია, ისარივით გადაიკარგო შენი თავიდან?

იკარგებიან კიდევაც. სმაში, ლოთობაში, სახის სრულ გაქრობაში...

აქ, ამ სოფელში პატარა ზეგრძნობითი ლაბორატორიაა, რომელიც ყველას ახლავს სასქესო ორგანოებით. რომელიც ყველა პასუხზე მაინც კითხულობს, - რატომ?

დადგენილია წინაპირობა, თუ რას უნდა ემსგავსოს აქ მოსახლე ადამიანი: შინვას ვერა, მთას ვერა, ბარს, თოხს, ცვლს - ვერა! მინაურ პირუტყვებს ვერა, ვერა მათ ვარეულ პროტოტიპებსაც - დათვს, მგელს, მელას, მაჩვს...

- ოო, მაჩვო, შე იუდა!

- ოო, მგელო, შე ისკარიოტელო!

მე სამოცდაათ-სამოცდათორმეტ-სამოცდათოთმეტისა ვარ.

უნდა გესმოდეთ: თავიდანვე სიზუსტე ჩემს ნაწერს არაფერში გამოადგება, იტყვის თქვენი ლაბორატორია, დავადგინეთ მავანის ასაკიო, ეს იქნება და ეს...

გართუ ყინვაა, ვზივარ და არ მცივა. განსაკუთრებით მსიაომოვნებს, რომ დაირღვა გაყინული ფეხებით ორევის ტრადიცია, დედა ეტირა. თბილი, ყელიანი საშინაო ფეხსაცმელი მაცივია, მსუბუქი და მზურვალედ აღერსიანი. მაგრად შევიწმინვე, მაგრამ ეტყობა, ამ თბილმა ფეხსაცმელმა ჩამიხურა ფეხები და ფატარმა გამიხსენა (ფატარი მომზრალი ფეხების ქავილს ნიშნავს ჩვენს დიალექტზე). აკი მიმოკითხავებდ ხოლმე ბებოჩემი თავისი საწოლის კათედრიდან:

- ფატარს დაიმართებ, ბიჭო, გამო, ცეცხლიდანაო!.. ქაღმებსა თუ ფეხის-სამცაო რამეს რომ გაყიხდიდი და ბუზრის ცეცხლს მიგუპყრობდი შიშველ ტერცევა. თურმე არ შეიძლებაო! მომზრალს რომ უცებ ცხელი მოხვდება, უარესია, - ფატარს მოიპოვებს მშვირველი ფეხთა. და, მრავალი წლის შემდეგ, როგორც იქნა მოპოვებული კმაყოფილება გადაიქცევა უსიამოვნებად, და, დაიწება მიზეზების გახსენებას, მიზეზი-მიზეზების, და ნახვალ სამოცისკენ, ორმოცდაათისკენ, ორმოცისკენ, ოცდაათისკენ, ოცისკენ, თოთხმეტ-ხუთმეტისკენ, რვაათისკენ, შობისკენ, სასაფეველისკენ, რომ უკუიქცეკვავ დედამიწისკენ, შენი აქამდგმურობის სახლამდე.

ახლა ხომ ხედვებით ჩემს მდგომარეობას? გახსენებებმა, სხვა და სხვა მიზეზითაც, სიმსუბუქე იციან, ფრთები აქვთ და არსად გაფრენა არ ეზარებათ, და, - სადაც კანჭს მოიკიდებენ, იქ რალაც განძია ადამიანისთვის.

ყინვა და შიშვილი, ტანჯვა და წვალება რომ არა, ამდენი ანგელოზი არ მიატოვებდა ჩვენს დედამიწას.

ამ დილას ქიქა ამიფეთქდა. დაეჯეკი და დავიწყე ფიქრი - ამ ნიშანმა რა საწყინარი მითხრა-მთქი? რა განსაცდელი მელის, რა მეუწყა, რას უნდა ველოდო? ამხნისა, ამდენი ჩანია ამ კითხვაში ვარ და ველარ დაედე ნიშნები, რომ დღევანდელი თუ ხვალინდელი ბედი გამოვიცნო.

- რა ვინამლო? ვკითხე თავს და პასუხმაც არ დააგვიანა:

- დილის ცის ცვარის ულუფა!

მაგრამ მარტო განცხადება არ შევლის საქმეს, ნერვებს ოუმორის გრძნობა არა აქვს და შესაბამისად, უარესად ფრთხვებიან. ამიტომ, სადილოა არაყი უნდა ასეთ დროს ვაუკაცს, როგორც წესი - ცხარე! მაქვს კიდევაც. ეტიკეტიცა მაქვს ჩემი ხელით ბოთლზე მიკრული - „სადილოა!“ მეორეში რომ არ ამერიოს, რომლის ეტიკეტზე „სარწყილო“ მინერია. „სადილოაუ“ რბილია, პიტნის ნაყენით მაქვს შეზავებული და ძილის წინ გადაავკრავ ხოლმე, რომ რწყილებს ჩანაცვლებულმა ნერვებმა არ შემანუხონ.

არ მიწყინოთ, უნდა დავცინო ჩემს თავს ჟამიჟამი, გადავიხარხარო, თორემ დარჩება ჩემში ნერვები, მე კი ჩემს გარეთ.

მაგრამ ჩემს არაყზე არავის გაეაცინებ, მით უფრო, რომ, თვითონა ვხდი და გამოვონებაც მაქვს ისეთი, რომ სახელს დაეტოვებ:

საორთქლე მიღს, ნინასწარ დაგრეხილი კანაფის ღეროებით გამოვავსებ ხოლმე, რომ სპირტით დამუხტული ორთქლი ერთდროულად გაიწმინდოს კიდევაც და სხვა სიკეთითაც გამდიდრდეს. ამ სიკეთის წყალობით, ჩემი სადილოა არყის ერთი გადაკვრაც საკმარია, რომ ყველაფერმა ერთდროულად სიმძიმე დაკარგოს, რომ იყყრა ხელში საგმირო ჯოხი და ხეობის თავზე მიმავალ გზას დაადგე.

ამ წელს გვრტივებმა სამჯერ იბარტყეს, ხელიკებმა და გველებმაც ორჯერ იწინილეს. ეს კი იმის უტყუარი ნიშანია, რომ შემოდგომა მშრალი და გრძელი იქნება.

თენება რომ დაიწყება, ცხვირს გასტევე გარეთ და დილის ცუსხი სამიხარულოც კია, იცი, რაც იქნება: ჯორს ცურვლებს წავდმენდს თვალბუზე, გერე, გზადგავა ერთი და იგივე მელია გადავირბენს, მათქმინებს: - ცოტა ხანს ვაჩერებულყიყვი, შე დლოცილო, სალამი მაინც გეთქვაო... ჩჩიკვი გაიმხრივლებს შეყვითლებულ ფოთლებში, გამოცდილი ხმით დაიჩხავლებს, ეგება შევაშირო... ამასობაში ამზიანდება ქალა, გამოჩნდება საქონელი, ქალი, კაცი, მიესალმები, მოგიკითხავენ. მზე გამიარ-



თება, ტანი ოფლით დაგვეცვარება და უკვე მთელი გარემო რულის მომგვრელი შეიქნება.

მაგრამ გვემის შედგენა მაინც მოგიწევს: შინ რომ დაბრუნდები, თავის წამლობა უნდა გააგრძელო, - საბჭო უებარი ნამალა ქრონიკული ნერვიულისა. ნანერი - სინათლის ხაზია შენს მიერ შეთხზულ ქაოსში.

მე გახლავართ გვარად - ნუთით მბურთველის შვილი, - დიმიხსოვრეთ, და, გზადაგზა, სხვა გვარი თუ დავირქეი, შემახსენეთ, ვინცა ვარ. ვცხოვრობ ყოველ წუთს მგორიანულ ქვაზე, - ნუთის სოფელში, სადაც რაც ნუთის აღმეტება, არარსებული დროა. ასეა მიჩნეული მამა-პაპიდან და ფაქტებიც იგივეს ღაღადებენ. ამიტომაც ვარ ნუთით მბურთველის შვილი. არც ვირისშვილი და არც ძაღლისშვილი - როგორც სხვები დანარჩენები.

გაზაფხულზე მდინარე რომ ადევდება და თეთრჩაქნინაი ლაშქარივით კალაპოტში ველარ ეტევა, აქეთ-იქით მამულებს მისწვდება და მიწასაც ნაკებებს ნათესიანს თუ ნარგავიანს... ხოლო, მეგელმა, მოგვსენებთაო, სამჯერ თუ ნაბერ ხარს, მერე მგლისაა. ადევებული წყალი ზეგო გაჯოუტებულ კაკლის ხეს, იფნა და თელას გამოასალმებს მიწას; მურყნარი კი თავს დაუხრის, ფეხებქვეშ გაუგორდება, იცის, გადაიანცებს მდინარე და ისევ ფეხზე დადგება.

ჭკვიანია სოფელი: მუხა-იფნისგან კი არ სწავლობს ცხოვრებას, არამედ მოქნილი წნორ-მურყნისგან. იცის, ბუნებისთვის ყველაფერი ერთი ნუთის ულუფაა, ამიტომაც თქვა ერთმა ქარა-ბიჭა ბერიკაცმა, პურიჭამა რომ გახურდა და აქაური ლექსობა წავიდა... - თქვი რამეო! - რომ უთხრეს. - რაღა დროს ჩემი ლექსობათა, თავი მოისანყლა, უფრო იმიტომ, რომ არავისთან ეტოლებოდა ... - სახრიანეზე ვარ მიმდგარი, როგორც მურყანი წყლის პირსა-ო... არადა, ისეთი ქარა-ბიჭა ბერიკაცი იყო, რომ ქალთან მარტო არ დაიტოვებოდა. სახლიდან რომ გამოისტუმრებდნენ - ნაღი საქონელშიო, მიხედვებარებაო! - აი ზღაზნებოდა, წავიდოდა უნადინოდ, მაგრამ მალევე სახე უნათებოდა: „- არ წავალ მე ხარებთანა, ნისქვილს წავალ ქალბთანა!..“ ნიშნს მოუკვებდა გამომდებლებს... და ორივეგან წავიდოდა, რადგან ნუთის ფარგლებში არაფერს არ ეღალატება. მით უფრო, რომ, ხარებთან წდობაა, ქალებთან - უნდობლობა და ორივე ნუთია ნუთით მბურთველისთვის.

კარგიც იზიდავს ადამიანს და ცუდიც იზიდავს და ორივე სწყენს. „სამწყრალოზე მიდისო“, ამბობენ, როცა ქალი ქმარზე განყრება და მამისსახლში მიდის:

ქალი ქმარმა ღალატში დაადანაშაულა. ისეთი პირის კალაპოტი ჰქონდა, როგორც საავდრო ღრუბელი. ქალმა არ უარყო. ამაყი იყო. გულზეც კი მოემეხა. „ისიც დაიცო ბუნებისა და მეც დაიცო, ერთად ვერ ვიცხოვრებთო.“

ქალს სახელგანთქმული მამა-ბიძა ჰყავდა, ქმარი პატივს სცემდა მათ და საქმე არც საქვეყნოდ

გაუხდია, არც ცოლის დასჯა უფიქრია, უბრალოდ სთხოვა, წასულიყო.

თვითონ დილით ადრე სათიბში წავიდა. ქალი აღიკაზმა სადღესასწაულო ტანსაცმლით, მკერდზე ვერცხლის შიბი დაიფინა, თითები შეიმკო ბეჭდებით, მძიმე სამაჯურები აისხა, ჩიქილ-მერდინით დაიმშვენა თავი, გაკერებულ სხეულში სუფთი ჩაიყენა, შეკაზმა თეთრი ცხენი და თალხი სამოსით შემოსილი ამხედრდა.

არც უკან გაუხედავს, არც მარცხნივ, არც მარჯვნივ, სამი-ოთხი სოფელი გაიარა და ყველას დედოფლად ეჩვენა, არათუ ქმრის გამოძევებულ დედაკაცად.

მე საიდან მეცოდინებოდა ეს, თვითმხილველს რომ არ ეთქვა. - ბავშვი ვიყავო, ვნახე გზაზეო, რისხვით მოდიოდა, დედოფალივითო...

ქალის მამასაც, ბავშვობაში ნანახს იხსენებდნენ შემდგომში. - ცხენით მოდიოდა, შერიშხნული სახე ჰქონდაო.

ქალის ქმარს დიდხანს რცხვენოდა: ძნელია დამდაბლებული თავის განცდა იმისგან ვინც გიყვარს. არც თვითონ თვლიდა თავს უცოდველად და თითქოს გამართლდა: ცოლი თუ გაღალატობს, შენს ცოდვებს იზიარებს, ის მძიმდება, შენ მსუბუქდები.

ერთი დღე ქანი იყო იმ ხანად, „საიქიო“ ერქვა. დადიოდა ხალხი, უკან მთვრალი ბრუნდებოდა და დილით თავის ლოგინში იღვიძებდა ცოცხალი.

დამკრძალავი სამსახური იყო კიდევ, იმ ხანად, „ჰადესი“ დაერქმიათ. ლამაზად ჟღერდა და ეს იყო მთავარი. აკი „მემენტო მორიც“ ჟღერადობამ შემოინახა, ვის ახსოვს შინაარსი! პირიქით, თუ წარმოთქვი, ხობიალისკენ კი არა, ფრენად გეძახის.

ამიტომაცაა, რომ არც ერთ რესტორანს დედამინაზე არ ჰქვია „ცხადი“ - ცხადში ხომ ვერ იფერეს, ცხადში უნდა ეთრიო.

ასეთი სახელი უფრო დამკრძალავ ბიუროს დაამშვენებდა: - „ცხადი!“

საინტერესოა, რომ არც მაგალობელი ფრინველების ტექსტში ურევია სიკვდილის აღმნიშვნელი სიტყვა. სჩანს, ვინც გალობს, ის ყოფნის მიღმაა.

მე მგონია, კაცებს არასოდეს უყვარდათ გამორჩეულები. მშვენიერებაზეც და გამირობაზეც ქალები წერდნენ.

ნაწილიანებსაც პირველები ქალები ცნობდნენ, გულთმისნებიც ისინი იყვნენ და ეშმაკებიც, ჯადოქრებიც და სულის მკითხველები... მშვენიერებას, დედამინაზე რომ აღარაფერი დარჩა, ბუნებაში შეიძალა: დღევანდელ დღეს სიღამაზე უხდებდა, სიღამაზეს დაეზობება კაცი, მშვენიერს - ვერა. აბიტომაა, რომ მშვენიერება არავისი ნატვრა არ არის, სიღამაზე კი ყველას ოცნებაა. მშვენიერება არასოდეს არ უყვარდათ, წვებოდნენ, როგორც ღამაზთან და დგებოდნენ, როგორც ფრინველისგან, რადგან ერთადერთი, რასაც სული აქვს, მშვენიერია. ამიტომაც მშვენიერი არ უნდა ექმოდ, როცა სიღამაზის ქვეყნიდანა ხარ. მშვენიერი არ გეჩვენება.

ღმერთის ძეგნაც არ არის საძრახისი, მაგრამ შენ არ უნდა იყო იქ.

ამის შემდეგ მოხდა, რომ დედათა წესი ქალებმა კაცებს გადაუღოცეს, დახტიან მშრალები და დაჯნაობენ. კაცები მზაობით შეხედნენ ბუნების სასწავლს. სულ რაღაცა სჭირთ, დადიან სველები და დობორკილები... იმედის თვალით აცილებენ ქალს, რომ იტყვის - წავედი!

- აბა, თვითრიანებო! - მიემართავ ხოლმე კაცების წყებას: - ნამოფრატუნდით, რამე გავაკეთოთ... და წინ მიუძღვები.

საქებარ პატარძალზე იტყოდნენ: - მაგის დაგვიღებ ერთო აიკრიფებაო. თუმც არც ესაა ბოროტად თქმული: - საქებარმა პატარძალმა ნიახურზე გადააფსოა. ეტყობა, დედამთილმა დილაუთენია მწვანის კვლები დაიარა და რომ ნახა, მხოლოდ ერთი კვლი იყო სველი, ჯერ იფიქრა, - დალოცვილი, მარტო ერთ კვალზე წვიმა ნუხელისო? მაგრამ მალევე მიხვდა და გაეღიმა ავტობიოგრაფიულად, - ეტყობა ნუხელ ისე გაუჭირდა ჩვენს პატარძალს, რომ ნიახური ბლახში აერიოა.

ერთხელ წუწიანთან მივედი სტუმრად - ასე ვეძახდით ბუმრობით. კარი ღია დამხვდა, გეგონება თადარიგი დაეჭირათ. ვხედავ, წუწიანი ღამის ქოთანზე ზის. - რას აკეთებ-მეთქი? - რას აკეთებენ, ბავშვები ქოთანზე რომ სხედანო? - პასუხად სახე დეძაბა წუწიანს. მართლაც წინ სათამაშოები ეყარა. მე თავი ზედმეტად ვიგრძენი და ნამოვედი.

მიღვივარ ქუჩაში. მივეყვები ხალხის ხშირ დინებას, სხვა არაფერი. ვხედავ, ჩემს წინ ორ ნაბიჯზე გველთევა ალბა მიაპობს ჰაერს, ანუ ხალხის ნაკადის საწინააღმდეგოდ აღმა დინებას. ნამოვენიე გველთევაზს, რომელსაც შემოდგომის გრილი საღამოს შესაბამისად ეცვა და მიაპობდა დინებას და სხვა არაფერი აინტერესებდა. რაკი სიტყვა არაფერი მქონდა, შეეცინე, ჩემი ჭკუით განდობილად. იმანაც შემომცინა, თითქოს დამიდასტურა ჩემი გუმანი და სიჩქარეს უმატა. ეს იყო უარყოფის უარყოფა, ანუ, გველთევაზს არ სურდა ჩემთან ლაპარაკი, მაგრამ არ მაგრძნობინა, რომ გული არ წამესვლიდა ხალხში და არ გავეთვლით.

ვიფიქრე, სად წავიდე-მეთქი! მძახალი უმძრახად მყავდა, სხვა ამხანაგებს საქმეები ჰქონდათ, ქალები თავს მალე მანებებდნენ, რადგან არ ვერჩოდნ.

საგონებელში ვიყავი, მაგრამ არ ვეპუებოდი და მივდიოდი. მოულოდნელად გზამ აინია, აინია, აინია და ეს რომ დამდვილი იყო, იმით მივხვდი, რომ ჩემს ქვემოთ ადამიანებს ბუჩის ტოლად ვხედავდი და ყველაზე მაღალ შენობებს ქობისხელად. ვთქვი, დამთავრდა-მეთქი! არასოდეს ასე ნათლად არაფერი მიგრძენია, თითქოს ტანთ გააქებადა, თითქოს აქამდე, მთელი ცხოვრება ჩაცმულ-დახურულს მძინებია ლოგინში.

მომხმარებლურ წყობაში საშუალოობის ისეთი სიმკვრივეა, ნიავე ვერ გაქანებულა, დამტვერვა რომ

მოახდინოს და ახალი წარმოშვას. ამიტომაც ადამიანები საკუთარი წარმოსახვით წარმოიშვებიან და ძალზე ხშირად სურვილის საწინააღმდეგო სურათს იღებენ. უყურებენ თავს და არა სჯერათ, უყურებს ხალხი და ჯჯერა.

განა კარგი და წესიერი, ერთი გაიძვერა და თვალთმაქცი ვერ ვნახე ამ მთადაველოში, რომ განსხვავდებოდა.

მადლიერებაც და უმადურებაც საზოგადოებრივი გაცილებია კაცისა.

ახალგაზრდა მშენებლობს უფულობით, მოხუცი კი ფულით.

კარგი დროა ჩემი ხანი, ვსწავლობ ახალგაზრდებისგან ჩუმად: რამდენად დამეწივნენ.

როგორ უცებვე სხვა ეთერში ვარდება კაცი. და ჰქვია ამას საზოგადოება. ადამიანის უფლებების დამცველნი ადამიანს მალე საკუთარ თავში გაასამართლებენ.

ვიი იმას, ვისაც გვერდით ჭკვიანი ქალი ჰყავს, უი იმას, ვისაც უჭკულო.

ჭიჭია

ყველა ბედსა აქვს ცხოვრებაში კულმინაციები - ერთი, ორი, სამი, რამდენიმე... მაგრამ ჭიჭიას ბედმა მის ცხოვრებას ხერხის კლიბეითი გრაგალი კულმინაცია უბოძა, და, როცა მრავალია, მაგონის, რაც გინდა მაგარი იყო. სადაც გინდა გაექცი, დაგიჭერს და სულ გხერხავს და გხერხავს.

ბავშვობას რომ დაკარგავ, მეტი რაღა უნდა დაკარგო!

გაუცნობიერებლად ჭიჭია ამ ხედრს ვერ შეეგუა, ვერ დაკარგა ბავშვობა. განა არა სცადა? რა ბრძანებაა! გაუშვა გარეთ - ინიციაციისთვის, გაუშვა გაღმა - კაცობისათვის, მაგრამ ვერ მოიშორა. აუკრა თვალები და მდინარის გაღმა ჭალაში დააგდო, სადაც არასოდეს ევლო. - დედას გიტორებო, უთხრა, რადგან ხელს უშლიდა ცხოვრებაში და ცხოვრებიდან კიდევ სამსახურების კიბეებზე, რადგან, ჯერ საპროექტო ინსტიტუტში მუშაობდა მხაზველად, და, ყველა, ძაან შურიანიც კი გრძნობდა, რომ ეს თანამდებობა მისი ნიჭის შესაფერი არ იყო. მაგრამ ბავშვები ხომ წარმატებაზე არ ფიქრობენ და უშლიდა ხელს ჭიჭიას ბავშვობა და ამიტომაც უთხრა, დედას გიტორებო!

მით უმეტეს, რომ კაცობისათვის უკვე ცოლშვილიც ჰყავდა.

იმ დღეს, როცა სამსახური გამოიცვალა, ძალიან მაგარი კაცი ითამაშა და გადარია ახალი თანამშრომლები. მოენონა ჭიჭიასაც თავის ნათამაშვი, დაიქაღნა, სულ ასე ვიქნებო. გაუშვა უღვაში, ხმა

დაიბოხა, დაიზეპირა გამსვლელი ფრაზები, იმ გამ-
ვებულ ულვაშებქვეშ იუმორი, და, ასე შემდეგ... მაგ-
რამ ბავშვს რა დამალავდა!.. და ნელ-ნელა სმა შე-
იყვარა და თავშესაფარიც მოიხსოვ: სათევზაოდ და-
იიყოდა ყოველდღე. გუბებშიც კი შექცელო ჩაეშვა ან-
კესი და მშვიდად მჯდარიყო დიდიდან ბინდამდე.
იყო თავის გემოზე, როგორც ბავშვობის ასაკში, ახ-
ლაც ზედა სწყალობდა, როგორც ვთქვი, გუბებშიც
კი იჭერდა როგორც გინდა თევზს.

თუ ცხოვრობიდან ვინმე ცნობისმოყვარე დაად-
გებოდა თავზე სულელურ კითხვებით, ჭიჭია კაცის
ბოხი ხმით პასუხობდა, იმას, რასაც არა ფიქრობდა
ბავშვი ჭიჭიაში, არამედ კაცში. ისეთი შეთხზული
პასუხები ჰქონდა, ისე ზუსტი და ენაშემუქცეველი,
რომ გაიტყვეოდნენ ხოლმე შემინებულები.

მაგრამ დიდხანს ვერ გაძლო. არც ისე ახალგაზ-
რდა იყო, ჩიტივით რომ მოკვდა გუბის პირას.

სინამდვილეში ჭიჭია მოკვდა ბავშვობაში, ზუს-
ტად ჩემს გვერდით.

მე რა უნდა ვქნა?

ჩვენი საყდარი არ იყო ქალაქი, ჩვენი საყდარი
სოფელში, მდინარის ქალებში იდგა.

სადაც მე ახლა პიანინო მიდგას.

რატომბაა, რომ ადამიანი ნაწერში პერსონაჟია
და თავის თავში - არა. რატომბაა, რომ ყველგან უფ-
რო რეალური სტატუსით არის, ვიდრე თავის თავ-
ში? ვინ არის?

მას იცავს კანონი და საზოგადოებრივი წესობა,
მაგრამ სცივია მათთან, იყინება, შიშით მიდის საკუ-
თარ თავთან, აღებს კარს და უშდის.

ოქტომბრის ბოლოა. მთვარიტა და ვარსკვლა-
ვებში ისეა განათებული ფანჯრების წინ სივრცე,
რომ გგონია ეზოში ნაფოსსაც აკრეფ და ვაშლსაც
მონყვეტ. ერთ ჭერქვეშა მთელი გარემო ცა და მი-
ნისა...

სამწუხაროა, რომ ასეთი თალხი ნათელია საი-
ქიოშიც. ყველაფერს მკრთალი, ალქატი ფერი ადევს.
ერთ ჭერქვეშა იქაც ყველაფერი, როგორც გამოქ-
ვაბულში, რომლის ყველა მკვიდრმა იცის, რომ იქაა
სადაც უნდა იყოს.

სცენის ასეთი განათება ცოცხალი შეყვარებუ-
ლებისთვის არაა. ახლა, მთვარიტა და ვარსკვლავე-
ბით დადღეებულ მიწაზე, ერთმანეთის სურვილით
დახოცილი სულების შეხვედრის დროა.

მათ ეღებათ გამოქვაბულის კარი.

ღმერთო! ცოტა მეტი სიგიჟე რომ ჰქონდეს ადა-
მიანს, ამ ჭკუითაც კი რამდენს იხილავდა!

რა არის გუმანი ნეტავ? იმის გარდა, რომ ინტუ-
იციად, ალლოდ, ანდედაც ითარგმნება.

გუმანი გაუცნობიერებელი წინათგრძნობაა,
ცხოველური ნაშთია ჩვენში, რომელსაც ჩვენს ნე-
ბაზე ვერ გამოვიყენებთ, რადგან არც ჭკუის თვი-
სებაა და არც გონებისა და სულის ამბავი ხომ არა-
ვინ იცის, და არც მისი ადგილსამყოფელი.

„გუმანით ვიგრძენიო,“ იტყვის კაცი, და არ იცის
რასა გულისხმობს, იმიტომ, რომ სიმთვრალეში
სახლს „ანდეთი აგნებს.“

ტვინის ჭყლეტა სახიფათოა. იმითაც, რომ, შე-
იძლება ლამაზად გამოპრანჭო, და, გუშუგა ქუჩაში
პროსტიტუტკად. ქვეყანა დაახტება! ახლა, მეორე-
ჯერზე შეგიძლია ვენერიული შეწყარო და გუშუგა
ისევ. ქვეყანა დაახტება! და აიკიდებენ კიდევაც ვე-
ნერიულს.

რა ჩემი საქმეა ცნობიერი და ქვეცნობიერი! რაც
მეტი გკიდია ზურგზე, მეტსა ფიქრობ და ჭრიალებ
მაგრა დადებულ ურემივით და ამოგდის ქვეცნობი-
ერი თვით ბორბლებიდან. ყროყინი ვირისა, არც
ცნობიერია და არც ქვეცნობიერი და არც მის ნება-
ზე. მაგრამ, როგორ ისმის...

საიდან ეს იდეალიზმი! ვირი ძალიან ჭკვიანი და
პრაგმატულია.

ნუ მოერიდებით ტვირთს, ის თქვენი ფასია,
იმოქმედეთ და თქვენ გახდებით.

რა გამოლევს სანუხარს, რა გამოლევს სასიხა-
რულოს, თუ კაცი ვერ
არის...

რამდენი კეთილი ნიჭი წაიღეს მიცვალებულებ-
მა. ამაწაც, ახლა რომ დაკრძალეს, მთელი სიკეთის-
გან გაცალა სოფელი. აღარაფერი დაუტოვა ადამი-
ანობის საღირსი, წაიღო ყველაფერი და დატოვა პი-
რუტყვევებით.

დასასრული შემდგომ ნომერში



მანანა კობაიძე

ჩემს თავს ისე ვუფრთხილდები
და ვეფერები,
დამყავს სასაირონოდ,
ბაღებში, კონცერტებზე,
კერამიკის და გობელენის გამოფენაზე.
სალამობით ერთად მივდივართ
მზის ჩასვლისფერი ღრუბლების საყურებლად.
ვასმევ ჩაის, სადილს ვუმზადებ,
ვურეცხავ და ვუუთობ.
ჩვენ ისე კარგად ვართ ერთმანეთთან,
მშვიდად და თბილად.
ზოგჯერ, ერთმანეთი როცა მოგვებზრდება,
ვიძინებთ, და სიზმარში ვმღერით.
როცა დანის ნვერს მივაბჯენ ყელზე,
მაკრობს მისი მრგვალი სინატიფე და სიმრთელე,
და ხელი აღარ მიბრუნდება მის დასარღვევად.
ვიცი, მით უფრო ძნელი იქნება ეს სიბერეში:
სუსტი და ნაოჭიანი ყელის გამოჭრა.
ამიტომ ვენდობით ერთმანეთს
და დაცვინით კიდევ.
და ისევ ერთად გამოვდივართ სახევ ქუჩაში.
ორივენი შუნ დაგვძებთ.
შენში გვინდა ერთმანეთის
შეყვარება
და დავინყება.

ღმერთო, მასწავლე, როგორ გავჩუმდე,
როგორ დავბრუნდე უსიტყვო სიმართლეში,
სადაც სამყარო ბრუნავს გარინდებული,
და რიტმისა და დარდის
ურთიერთშეხვედრით
ბრწყინდებიან შუშაბანდები
სამყაროსი -
სადაც მარადიული დედა გვეგულება
ღმერთთან შუამავლად
და თვით ღმერთის ღმობიერ დედად.
მარადიული სილბოს იმედით
მივებხლებით დედამინას
და ჩავადნებით,
ჩონჩხებად შევაშრებით,
ჩვენი ძვლებით კალთას ავუვსებთ.
ამასაც გვაპატიებს,
გადაგვივლის მწვანე, ნათელი ყვავილებით აჭრელებული მდელივით -
ვარსკვლავებს ავხედავთ
ყვავილების ბუტკოებიდან.
გრძელი საღამოები
დაგვალონებენ.

გალეული განთიადების
მძიმე ტყეებში
თავდახრილი ჭერი, გაურანდავი,
სველი სოკოები...
გაიხსნა კედელი ელვის კვეთით,
გამოვიდა ქალი,
გამოიბადა,



ქალი პირმშენიერი,
 თმაგრუზი და
 მკერდთბილი და
 მკერდსამოდმოსახილველი.
 გამოუჩნდა
 ქვედა კაბის კალთიდან ფეხი
 - წვივი შემკრთალი,
 შავ წინდაში გამოკეთილი,
 ტერფი, შემოსილი დედაჩემის ქალიშვილობის
 მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით და,
 ილიმებოდა.
 კედლიდან მისი გამოსვლა ჰგავდა
 ტვინის უეცარ განათებას - ეს არის სიკვდილი.
 განათებას, რომელიც წამიერი და მოუხელთებელი,
 და გვიტოვებს მხოლოდ ხსოვნას
 თავის შესახებ.

ღმერთო, დაბადებულთაგანს
 სიკვდილს ნუ ანატრებ,
 მიცვალებულთაგანს - ამ ცხოვრებას.

ყველა თავის ხვედრში დააამე,
 თავის სახლში დაამშვიდე,
 და აჩვენე სიმდიდრის გული.

ყველას ასწავლე თავისი წილი განსაცდელის
 მშვიდად შეტტობა,
 და მოჰფინე მათ ცხოვრებას
 მწიფე ნაყოფთა წმინდა სხივები.

საფლავთ ნუ აღაშფოთებ,
 ნუ გამოიხმობ
 სულთა სამეფოს მკვიდრთ ამ მიწაზე,
 და თვითმკვლევლობის თესლს ნუ ჩასთეს
 მარტომყოფთა არსობის პურში.

ბრმებსაც მთარგე ცეცხლისა და მდინარის წილი,
 თვალთა ახელის საშიში წამი,
 ვარსკვლავთა და გულთა ცნობით
 თავზარდაცემა.

უბედოებს ბედი მიაგე.
 გულნაკლულებს აუფე გული,
 გაუხსენ ყველას
 შენი სიზმრის მოწყალება -
 სამოთხის ხილის ყვავილობა
 და მწიფობის ძვირფასთვლოვანი
 მდინარება დედამიწაზე.

ვინ გვიპატრონებს!
 ღვთისმშობლის ოქროს შარავანდედს
 ნუთუ სიბერის
 შავი ქარი
 აშარიშურებს?

თივის ზვინების
 ოქროს ბზინვას ასდევს მოწყენა
 ასსევდიანი,
 ასთავიან დევზე ბოროტი.



ზაფხულის ფრესკის ლურჯ ღვინოს და მკრთალ თაიგულებს
ღამე ჩაიშრობს.

მონყევიტილი გული ვარდებად
აპყვება შენს ხელს, ტკბილო უფალო!

შენ ჰკრეფ ჩვენს თვალებს,
ვარსკვლავებად იყრი კალთაში,
როგორც ზაფხულის ოქროს თესვებს და ფერად მარცვლებს
აგროვებს სოფლად
დაბერებული დედაჩემი და სიმჭვირვალის


წითელ ღრუბლებში და ლილისფერ მთებში შემოდის
ქარისფერ ქარის სიმსუბუქე და ახლო ხმათა
მტკივნეული სიმორეული.
შორეული და ალისფერი
ყვილი მამლის.

ჩაემყდროვდება
გარინდების ძველ სინათლეში.
და მივინდობი
ტკივილებს შორის ნეტარებით
გულის დამტკრევას.

ერთ მტვრიანაზე ყვავილობდა ჩემი სიცოცხლე
საზღვრის კიდეზე თავმიხრილი შემოდგომებით,
და გაზაფხულის მარადისი გარდამავლობით.

ერთ მტვრიანაზე ეტეოდა ჩემი ბინდების
შე ფიჭვებს შორის მოელვარე გამჭვირვალობა,
დღე ძილბურანში მიბინდული
მიხვევდა ძილში,
და ვარსკვლავებსაც,
დედამინის შფარველ ხეებსაც,
ბალახის ღერსაც,
ქვეყნის კიდეზე გადაკარგულს, შიშით შერხეულს,
შვი კლდის ძირში მითოვებულს ქართა ამარა,
და სიცივისაც, ნყალთა და ქვათა ღამეებში მოხეტიალეს,
მე ვიფარავდი,
ყოველივეს გარს ევხეოდი
აღვრის ნაღვლად,
დედისფერი სევდის ბურუსად,
და არ შემეძლო დავინყება არცერთი კენჭის,
თევზის ფარფლის და
ვარსკვლავის და
გზის და ქვირითის,
არც ჩემი ბალის მწუხარების გამსუბუქება
დედისმძებნელი უსუსური ჭამაიას
მტკივნეულ გულში ჩაქცეული ცივი ობლობის
მოუსმენლობით.

დამიხასოვრე
გალობის და
საკმეველის სურნელს
რა შორეთიდან შემოჰქონდა მარადი სუნთქვა,
როგორც სსოვნაში გაეცემა დავინყებული
დილის ბრწყინვისა -
ბავშვობის ფსკერზე შენახული ვარდი და ლილა,
ლაჭვარდი მუქი.



ანდრო ბუაჩიძე

გაზაფხული მოდის ღამეში

ხომ შეიძლება, რომ ღამეში ვიმოგზაურო,
 ხომ შეიძლება, რომ დავტოვო მე სახლის ზღურბლი
 და გადავიდე იმ სივრცეში, სადაც ანთია
 მერთალი სინათლე - განფენილი კიდეებამდე.
 ჩემს სანოლში ჩაძინებულმა თუ გასულმა
 ჩემი თავიდან, მე მიჩვენია, ასე ვიარო,
 ვიარო არა გამიზნულად, არა ხილულად,
 არამედ როგორც მთვარეულმა ან უსინათლომ,
 რომელიც გარეთ იყურება, ხედავს კი შიგნით,
 აი, სარკეს რომ თავის თავის ხედვა შეეძლოს,
 დაახლოებით იმნაირად და იმგვარადვე.
 დავეშვებოდი ნუცუბიძის პლატოდან ქვემოთ
 და შევიგრძნობდი, გაზაფხული მოდის ღამეში,
 ედება ხეებს და სახლებსაც ეპოტინება.
 ის უფორმოა, უსხეულო, უმისამართო
 და ამ ღამეში უხილავიც არის, უჩინოც...
 მაგრამ მე ვხედავ, ბავშვობიდან ვხედავდი რადგან,
 ის დგას შაერში და თუმცა კი ხელს ვერ შეაელებ,
 მაინც შეიგრძნობ, როცა ღამის ნიაფთან ერთად
 ჩრდილი ან ტოტი შეირხვევა, როცა ვიტრინის
 ან ღამის შუქი დაეცემა ქვაფენილებზე...
 მე მიმატოვა ყველაფერმა და ყოველივემ,
 ჩემმა წარსულმა გაიშრიალა ხესავით და მერე დამტოვა,
 სხვებიც წავიდნენ, მეგობრები, ნივთები, მთვარე,
 ისე, რომ თითქმის არც უცდიათ დამშვიდობება,
 და ახლა, როცა ამ ღამეში ვეძებ გაზაფხულს,
 მე იმათ სულებს ვეგებები და ვეძრახები,
 მინდა შევავლო ხელი, მაგრამ ვერ შევეხები,
 ვიცი და მხოლოდ ფიქრითა ვარ მათკენ დახრილი.



გადავჭრი ქუჩებს, მოედანი ცარიელია,
 დგანან ძეგლები უმიზნოდ და უსურვილებოდ,
 იმ მიზანსცენის გაცვეთილი რეკვიზიტები,
 რომელთაც უკვე ვეღარ არჩევს თითქმის ვერავინ.
 შუქნიშნებიც კი აზრს კარგავენ და ინთებიან
 თუ ქრებიან, არ დაგიდევენ ქრობა - ნათებას...
 ხომ შეიძლება, რომ ღამეში ვიმოგზაურო,
 გადავჭრა ქუჩა და წავიდე თრიალეთისკენ,
 ბაგებისაკენ... ტყისპირების უკუნი ხომ მიმზიდველია!
 გაზაფხული მოდის ღამეში... და სასჯელივით
 ვინც იხდის ყოფას, იმისთვისაც ჩუმი ნათება
 ტყის კორომში შემღვრეული გაზაფხულისა
 მაინც რაღაცის მჩუქებელია...

არა, არ წავალ მე ქალაქის შუაგულისკენ,
უფრო კიდეებს მივაშურებ და მივენდობი;
ზურგი ვაქციე წიგნებსა და ადამიანებს,
რომელთაც სძინავთ მძიმე ძილით და იხსენებენ
იმას, რაც სულის ფსკერზე ენყოთ და კვლავ
უნყვიათ. და თუნდაც ზემოთ ამოზიდონ
ეს ყოველივე, მაინც ვერაფერს ვერ შეძრავენ,
ვერ შეაღებენ იმ კარს, რომელიც სამუდამოდ
დალუქულია...

აქ, ამ ქალაქში მე ვცხოვრობდი, აქ დავდიოდი,
აქ ვავლებდი ხელს ნივთებს, ქუჩებს აქ მივყვებოდი
და ჰო, რისი მაქნისია ეს სიარული, ეს ფეთება,
ეს წრიული თუ ვენებათელევა...

ლამეში დგას მთელი ქალაქი, ვით მუზეუმი,
ვით მუზეუმი, რომელშიც ერთმა კაცმა იცხოვრა
იმდაგვარად, რომ დაესწრო თავის ცხოვრებას
და ახლა დადის ლამის ქალაქში, მის კიდეებს ათვალეიერებს...
დიდი ხანია გავეცალე ამ ქალაქს, როგორც
ხმელი ფოთლები ეცლება ხეებს, ჩამოვეცალე,
ჩამოშორდი და მის კიდეებს ვათვალეიერებ.

მის გარუბნებს ვესწრები და ვისწრებ თვითონვე.
არადა, ადრე ჯერ კიდეე ბავშვი აქ დავდიოდი,
აქ ავახილე და მერე კი შევაველე თვალი ამ ყოველივეს...
გამიუცხოვა ამ ქალაქმა და თვითონაც უცხოდ ვიქციე
და იშვიათად თუ დავდივარ, ვით უსინათლო,
უფრო იმიტომ, რომ შევიგონო, ჩემი წარსული
როგორ შეერწყა ქვაფენილებს და აიკრიფა.

არა, არ წავალ მე ქალაქის შუაგულისკენ,
იქ აღარავინ არ მიხსენებს, სადარბაზოებს აღარ ვახსოვარ,
არ ახსოვთ, როგორ ავდიოდი საფეხურებზე,
როგორ ვრეკავდი ზარს, მძიმე კარს როგორ მიღებდნენ
და, ვინც მიღებდა, იმათ უკვე ვერ ვეხსოვები,
სახლიც სხვისია, სიზმარშიც კი მეუცხოვება.

დრომ გაიარა და თითქოს მეც შემახო ხელი,
მაგრამ რატომღაც ვერ ვიგრძენი ხელის შეხება
და კვლავ მეგონა დამხედებოდა რალაც ნაცნობი,
რალაც ნაცნობი და ძველთაგან შემორჩენილი.
არა, არ წავალ მე ქალაქის შუაგულისკენ.
ქალაქის კიდეს მივენდობი, მივესწრაფები.
ბავებისაკენ ტყისპირებს და ცარიელ ტრასას
სუნი ძრავს ჯერარშემოსული გაზაფხულისა
და მეც მივდივარ იმ სასურველ ადგილებისკენ.



ნიკა ჯორჯანელი

ნითელი ნათება

ყველა დასასრულს, კეთილსაც, ცუდსაც,
 გარდაუვალად მოსდევს ნითელი ნათება.
 კეთილის შემთხვევაში -
 ეიფორიის ნითელ ხაზად.
 ცუდის შემთხვევაში -
 სინათლედ გვირაბის ბოლოში.
 ის თანდათან ჩნდება თქვენ წინაშე.
 რაც უფრო არ ამჩნევთ, მით უფრო ინტენსიურია.
 არც ლამპები აფრქვევენ.
 არც ჩირაღდნები.
 არც რაიმე სხვა სანათი მონყობილობა.
 უცნობი ნარმოზობისა.
 გაურკვეველი წყარო აქვს.
 იყო ძველი კაბრიოლეტების უკანა შუქებში რაღაც,
 რაც მას შორიდან ენათესავება.
 იყო დაღუპულ სპარტელთა
 მზეზე მოლაჟღაჟე სისხლიან მოსასხამებში
 მისი მონათესავე რაღაც.
 გამუდმებითაა მზეში.
 არის აბრების განათებაში,
 მათ შორის ღამის კლუბთა აბრებისაში.
 ღამის კლუბებთან ამის მეტი არაფერი აკავშირებს.
 არც მოკლეკაბიანი გოგონას სილუეტს შეიცავს,
 არც თავისში გეპატიჟებათ.
 თქვენ მხოლოდ ყურება შეგიძლიათ მისი.
 თქვენ მხოლოდ იმისთვის იღვწით,
 რომ ნითელ ნათებას უყუროთ.
 რომ ბოლოს ნითელ ნათებას უყუროთ.
 რომ ბოლოს
 ნითელ ნათებას უყუროთ.
 რომ ბოლოს
 ნითელ ნათებას
 უყუროთ.
 უყუროთ ნითელ ნათებას.
 რომ ნითელ ნათებას უყუროთ.
 რომ ბოლოს
 ნითელ
 ნათებას
 უყუროთ.
 უყუროთ ბოლოს ნითელ ნათებას.
 ყველა დასასრულს, კეთილსაც, ცუდსაც,
 გარდაუვალად მოსდევს ნითელი ნათება.
 რომ, ნითელს, უყუროთ ბოლოს ნათებას.
 ნითელ ნათებას. ნითელზე ნითელს.
 რომ ბოლოს ნითელ ნათებას უყუროთ.
 ნათებას. ნითელს. უყუროთ. ბოლოს.
 ბოლოს. უყუროთ. ნათებას.
 ნითელ ნათებას.
 ბოლოს.
 უყუროთ.

